
ქენევის 1949 წლის 12 აპრილის კონვენციების
დამატებითი ოქმი სპარტაშორისო
შეიარაღებული კონფლიქტების
მსხვერპლთა დაცვის შესახებ (I ოქმი)

(1977 წლის 8 ივნისი)

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, 2008 წ. 390 გვ.

ჟენევის ოთხი კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თითქმის ყველა სახელმწიფოა.

კონვენციები იცავს მოქმედ ჯარში დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომადლის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე, სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს აღმოჩნდა უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი უზრუნველყოფს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მინიმალურ დაცვას.

I დამატებითი ოქმი ეხება და განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს და ადგენს სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს. II დამატებითი ოქმი ავსებს და ავრცობს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპს. III დამატებითი ოქმი კი ეხება დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღებას.

წითელი ჯვრის
საერთაშორისო კომიტეტი
2008 წელი



ICRC

**ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი
საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის
შესახებ (I ოქმი)**

პრეამბულა241

პარი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1	–	ზოგადი პრინციპები და გამოყენების სფერო	242
მუხლი 2	–	განსაზღვრებები	242
მუხლი 3	–	გამოყენების დასაწყისი და დასასრული	243
მუხლი 4	–	კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივი სტატუსი	243
მუხლი 5	–	მფარველი სახელმწიფოებისა და მათი შემცველთა დანიშვნა	243
მუხლი 6	–	სპეციალურად მომზადებული პერსონალი	244
მუხლი 7	–	შეხვედრები	245

პარი II

**დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვასი
მოყოლილი პირები**

ნაწილი I

მუხლი 8	–	ტერმინოლოგია	245
მუხლი 9	–	გამოყენების სფერო	248
მუხლი 10	–	მფარველობა და ზრუნვა	248
მუხლი 11	–	ცალკეული პირების დაცვა	248
მუხლი 12	–	სამედიცინო ფორმირებების დაცვა	249
მუხლი 13	–	სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების დაცვის შეწყვეტა	250
მუხლი 14	–	სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების რეკვიზიციის შეზღუდვა	250
მუხლი 15	–	სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა	251
მუხლი 16	–	სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა ზოგადი დაცვა	251
მუხლი 17	–	სამოქალაქო მოსახლეობისა და დახმარების	

	საზოგადოებების როლი	252
მუხლი 18	– ამოცნობა	252
მუხლი 19	– ნეიტრალური და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან	253
მუხლი 20	– რეპრესალიების აკრძალვა	253

ნაწილი II

სანიტარული გადაზიდვები

მუხლი 21	– სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები	254
მუხლი 22	– ჰოსპიტალური გემები და სანაპირო სამაშველო სანაოსნო საშუალებები	254
მუხლი 23	– სხვა სანიტარული გემები და სანაოსნო საშუალებები	254
მუხლი 24	– სანიტარული საჰაერო ხომალდების დაცვა	256
მუხლი 25	– სანიტარული საჰაერო ხომალდები მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაუქვემდებარებელ რაიონებში	256
მუხლი 26	– სანიტარული საჰაერო ხომალდები ურთიერთშეხების ან მსგავს ზონებში	256
მუხლი 27	– სანიტარული საჰაერო ხომალდები მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში	256
მუხლი 28	– სანიტარული საჰაერო ხომალდების გამოყენების შეზღუდვა	257
მუხლი 29	– შეტყობინებები და შეთანხმებები სანიტარული საჰაერო ხომალდების შესახებ	257
მუხლი 30	– სანიტარული საჰაერო ხომალდების დაშვება და შემოწმება	258
მუხლი 31	– ნეიტრალური ან სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან	259

ნაწილი III

უზო-უკვლოდ დაკარგული და ბარდაცვლილი პირები

მუხლი 32	– ზოგადი პრინციპი	260
მუხლი 33	– უზო-უკვლოდ დაკარგული პირები	261
მუხლი 34	– გარდაცვლილთა ნეშტი	261

პარი III
ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები –
კომპატანტებისა და სამხედრო ტყვეების სტატუსი

ნაწილი I
ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები

მუხლი 35	–	ძირითადი ნორმები	263
მუხლი 36	–	ახალი ტიპის იარაღი	263
მუხლი 37	–	ვერაგობის აკრძალვა	263
მუხლი 38	–	აღიარებული ემბლემები	264
მუხლი 39	–	ეროვნული ემბლემები	264
მუხლი 40	–	შეწყალება	264
მუხლი 41	–	გარანტიები მწყობრიდან გამოსული მოწინააღმდეგე მხარის პირებისთვის	264
მუხლი 42	–	საჰაერო ხომალდებში მყოფი პირები	265

ნაწილი II
კომპატანტებისა და სამხედრო ტყვეების სტატუსი

მუხლი 43	–	შეიარაღებული ძალები	265
მუხლი 44	–	კომპატანტები და სამხედრო ტყვეები	266
მუხლი 45	–	საომარ მოქმედებებში მონაწილე პირთა დაცვა	267
მუხლი 46	–	ჯაშუშები	267
მუხლი 47	–	დაქირავებულები	268

პარი IV
სამოქალაქო მოსახლეობა

ნაწილი I
საომარი მოქმედებების შედეგებისგან ზოგადი დაცვა

თავი I
ძირითადი ნორმა და გამოყენების სფერო

მუხლი 48	–	ძირითადი ნორმა	269
მუხლი 49	–	თავდასხმის განსაზღვრება და გამოყენების სფერო	269

თავი II
სამოქალაქო პირები და სამოქალაქო მოსახლეობა

მუხლი 50	–	სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო მოსახლეობის განსაზღვრება	270
მუხლი 51	–	სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა	270

თავი III
სამოქალაქო ობიექტები

მუხლი 52	–	სამოქალაქო ობიექტების ზოგადი დაცვა	271
მუხლი 53	–	კულტურული ფასეულობებისა და ღვთისმსახურების ადგილების დაცვა	271
მუხლი 54	–	სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა	272
მუხლი 55	–	ბუნებრივი გარემოს დაცვა	272
მუხლი 56	–	სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების დაცვა	273

თავი IV
სიფრთხილის ღონისძიებები

მუხლი 57	–	სიფრთხილის ღონისძიებები თავდასხმის დროს	274
მუხლი 58	–	სიფრთხილის ღონისძიებები თავდასხმის შედეგების წინააღმდეგ	275

თავი V
განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილები და ზონები

მუხლი 59	–	დაუცველი ადგილები	276
მუხლი 60	–	დემილიტარიზებული ზონები	277

თავი VI
სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 61	–	განსაზღვრებები და გამოყენების სფერო	278
მუხლი 62	–	ზოგადი დაცვა	279
მუხლი 63	–	სამოქალაქო თავდაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე	280

მუხლი 64	–	ნეიტრალური ან კონფლიქტში არამონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო მაკოორდინირებელი ორგანიზაციები	281
მუხლი 65	–	დაცვის შეწყვეტა	281
მუხლი 66	–	ამოცნობა	282
მუხლი 67	–	სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში განწესებული შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო შენაერთების პირადი შემადგენლობა	283

ნაწილი II

სამოქალაქო მოსახლეობის დახმარება

მუხლი 68	–	გამოყენების სფერო	284
მუხლი 69	–	ძირითადი მოთხოვნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე	284
მუხლი 70	–	დახმარების ოპერაციები	285
მუხლი 71	–	დახმარების ოპერაციებში მონაწილე პერსონალი	286

ნაწილი III

კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლებაში მყოფ პირებთან მოპყრობა

თავი I

გამოყენების სფერო და პირთა და ობიექტთა დაცვა

მუხლი 72	–	გამოყენების სფერო	286
მუხლი 73	–	ლტოლვილები და მოქალაქეობის არმქონე პირები	286
მუხლი 74	–	განცალკევებული ოჯახების გაერთიანება	287
მუხლი 75	–	ძირითადი გარანტიები	287

თავი II

ქალებისა და ბავშვების დაცვის ღონისძიებები

მუხლი 76	–	ქალების დაცვა	289
მუხლი 77	–	ბავშვების დაცვა	290
მუხლი 78	–	ბავშვების ევაკუაცია	290

თავი III
ჟურნალისტები

მუხლი 79	–	ჟურნალისტთა დაცვის ღონისძიებები	292
----------	---	---------------------------------------	-----

პარი V
კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესრულება

ნაწილი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 80	–	შესრულების ღონისძიებები	292
მუხლი 81	–	წითელი ჯვრისა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობა	292
მუხლი 82	–	იურიდიული მრჩევლები შეიარაღებულ ძალებში	293
მუხლი 83	–	გავრცელება	293
მუხლი 84	–	გამოყენების წესები	294

ნაწილი II
კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევათა აღკვეთა

მუხლი 85	–	წინამდებარე ოქმის დარღვევათა აღკვეთა	294
მუხლი 86	–	უმოქმედობა	296
მუხლი 87	–	მეთაურთა მოვალეობები	296
მუხლი 88	–	ურთიერთდახმარება სისხლის სამართლებრივ საკითხებში	296
მუხლი 89	–	თანამშრომლობა	297
მუხლი 90	–	ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია	297
მუხლი 91	–	პასუხისმგებლობა	299

პარი VI
დასკვნითი დებულებები

მუხლი 92	–	ხელმოწერა	300
მუხლი 93	–	რეტიფიკაცია	300
მუხლი 94	–	მიერთება	300
მუხლი 95	–	ძალაში შესვლა	300
მუხლი 96	–	წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდგომი სახელშეკრულებო ურთიერთობები	300
მუხლი 97	–	შესწორებები	301
მუხლი 98	–	I დანართის გადახედვა	301
მუხლი 99	–	დენონსაცია	302
მუხლი 100	–	შეტყობინებები	302

მუხლი 101	–	რეგისტრაცია	303
მუხლი 102	–	ავთენტის ტექსტები	303

დანართი I ამოცნობასთან დაკავშირებული წესები

მუხლი 1	–	ზოგადი დებულებები	303
---------	---	-------------------------	-----

თავი I პირადობის მოწმობა

მუხლი 2	–	მუდმივი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა	304
მუხლი 3	–	დროებითი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა	305

თავი II ბანმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 4	–	ფორმა	307
მუხლი 5	–	გამოყენება	307

თავი III ბანმასხვავებელი სიგნალები

მუხლი 6	–	გამოყენება	307
მუხლი 7	–	შუქოვანი სიგნალი	308
მუხლი 8	–	რადიოსიგნალი	309
მუხლი 9	–	ელექტრონული ამოცნობა	309

აპი IV კომუნიკაცია

მუხლი 10	–	რადიოკავშირი	310
მუხლი 11	–	საერთაშორისო კოდების გამოყენება	311
მუხლი 12	–	სხვა საკომუნიკაციო საშუალებები	311
მუხლი 13	–	ფრენის გეგმა	311
მუხლი 14	–	სანიტარული საჭიერო ხომალდის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული სიგნალები და პროცედურები	311

თავი V
სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 15	–	პირადობის მოწმობა	311
მუხლი 16	–	საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი	313

თავი VI
სახივართო კაღის შემცველი დანადგარები და ნაბეჭობები

მუხლი 17	–	საერთაშორისო სპეციალური ნიშანი	314
----------	---	--------------------------------------	-----

დანართი II
სახივართო მივლინებებში მყოფი ჟურნალისტების
პირადობის მოწმობა

პირადობის მოწმობა	316
-------------------------	-----

პრეამბულა

მაღალი ხელშემკერელი მხარეები,

გამოთქვამენ რა თავიანთ გულწრფელ სურვილს, რომ მსოფლიოს ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიანად,

შეახსენებენ რა, რომ ყოველი სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად ვაღდებულია თავი შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების მუქარისგან ან გამოყენებისგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე ნებისმიერი სხვა სახით, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს არ შეესაბამება,

მიიჩნევენ რა, რომ აუცილებელია იმ დებულებების განმტკიცება და განვითარება, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას ითვალისწინებენ და მათი უფრო ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფისათვის საჭიროა დამატებითი ზომების მიღება,

გამოხატავენ რა რწმენას, რომ წინამდებარე ოქმსა და ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებში არაფერი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს დაკანონებული ან სანქცირებულია აგრესიის ნებისმიერი აქტი ან ძალის გამოყენების სხვა ფორმა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას არ შეესაბამება,

ადასტურებენ რა შემდგომ, რომ ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და წინამდებარე ოქმი ნებისმიერ გარემოებაში სრულად უნდა გამოიყენებოდეს ყველა პირის მიმართ, რომელიც ამ დოკუმენტების დაცვით სარგებლობს, ყოველგვარი არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე, რომელიც ეფუძნება შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათს, წარმომავლობას, ან მიზეზებს, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა წამოაყენეს, ან რომელიც მათ მიეწერება,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

პარი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1 – ზოგადი პრინციპები და გამოყენების სფერო

1. მაღალი ხელშემკერელი მხარეები ვალდებულია იღებენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე ოქმის შესრულება.

2. წინამდებარე ოქმით ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში სამოქალაქო პირები და კომბატანტები რჩებიან საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპების მოქმედებისა და დაცვის ქვეშ, რომელიც ჩამოყალიბებული ჩვეულებიდან, ადამიანურობის პრინციპებისა და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

3. წინამდებარე ოქმი, რომელიც ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებს აესებს, ამ კონვენციებისათვის საერთო მე-2 მუხლში მითითებულ ვითარებებში გამოიყენება.

4. წინა პარაგრაფში მითითებული ვითარებები მოიცავს შეიარაღებულ კონფლიქტებს, სადაც ხალხები იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ, ახორციელებენ რა თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სახელმწიფოთა შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციითაა განმტკიცებული.

მუხლი 2 – განსაზღვრებები

ამ ოქმის მიზნებისათვის:

- (ა) „პირველი კონვენცია“, „მეორე კონვენცია“, „მესამე კონვენცია“ და „მეოთხე კონვენცია“ შესაბამისად ნიშნავს ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ; „კონვენციები“ ნიშნავს ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხ კონვენციას ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ;
- (ბ) „შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები“ ნიშნავს იმ საერთაშორისო შეთანხმებებში მოყვანილ შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედ ნორმებს, რომელთა წევრებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არიან, და შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს;
- (გ) „მფარველი სახელმწიფო“ ნიშნავს ნეიტრალურ ან სხვა სახელმწიფოს, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, მოწინააღ-

მდეგის თანხმობით დანიშნულია კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ და თანახმაა კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მფარველ სახელმწიფოზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს; (დ) „შემცვლელი“ ნიშნავს მე-5 მუხლის შესაბამისად მფარველი სახელმწიფოს ნაცვლად მოქმედ ორგანიზაციას.

მუხლი 3 – გამოყენების დასაწყისი და დასასრული

იმ დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც ნებისმიერ დროს მოქმედებს:

- (ა) კონვენციები და წინამდებარე ოქმი გამოიყენება ამ ოქმის პირველ მუხლში მითითებული ნებისმიერი ვითარების დაწყებისთანავე;
- (ბ) კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე წყდება საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე – ოკუპაციის შეწყვეტისთანავე. ორივე შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენენ პირები, რომელთა საბოლოო გათავისუფლება, რეპატრაცია ან რესტიტუცია მოგვიანებით ხორციელდება. ეს პირები კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას მათი საბოლოო გათავისუფლების, რეპატრაციის ან რესტიტუციის მომენტამდე განაგრძობენ.

მუხლი 4 – კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივი სტატუსი

კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენება, ასევე ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული შეთანხმებების დადება კონფლიქტის მონაწილე მხარეების სამართლებრივ სტატუსზე გავლენას არ მოახდენს. ტერიტორიის ოკუპაცია, ისევე როგორც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენება სადავო ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსზე გავლენას არ მოახდენს.

მუხლი 5 – მფარველი სახელმწიფოებისა და მათ შემცვლელთა დანიშვნა

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან კონფლიქტის დაწყებისთანავე უზრუნველყონ კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის ზედამხედველობა და განხორციელება მფარველი სახელმწიფოების სისტემის გამოყენების მეშვეობით, მათ შორის, ამ სახელმწიფოთა დანიშვნა და დამტკიცება ქვემოთ მოცემული პარაგრაფების შესაბამისად. მფარველი სახელმწიფოები მოვალენი არიან კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესები დაიცვან.

2. პირველ მუხლში მითითებული ვითარების დაწყებისთანავე, კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენების უზრუნველსაყოფად კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე დაუყოვნებლივ ნიშნავს მფარველ სახელმწიფოს და ასევე, დაუყოვნებლივ და იმავე მიზნით, დანიშნული მფარველი სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღიარების შემდეგ, ნებას რთავს მას თავისი საქმიანობა განახორციელოს.

3. თუ მფარველი სახელმწიფო არ არის დანიშნული ან დამტკიცებული პირველ მუხლში მითითებული ვითარების დაწყებისთანავე, წითელი

ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ნებისმიერი სხვა მიუკერძოებელი პუ-
მანიტარული ორგანიზაციის მსგავსად მოქმედების უფლებისათვის ზი-
ანის მიუყენებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზებს თა-
ვის კეთილ სამსახურს, კონფლიქტის მონაწილე მხარეების თანხმობით
მფარველი სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დანიშვნის მიზნით. ამისთვის,
მათ შორის, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს ყოველ მხარეს, რათა წა-
რუდგინონ, სულ მცირე, ხუთი სახელმწიფოს სია, რომელსაც თითოეული
მათგანი მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში მისი სახელით მოქ-
მედი მფარველი სახელმწიფოს სახით მისაღებად მიიჩნევს, ასევე, სულ
მცირე, იმ ხუთი სახელმწიფოს სია, რომელსაც თითოეული მათგანი მო-
წინააღმდეგე მხარის მფარველი სახელმწიფოს სახით მისაღებად მიიჩ-
ნევს; ეს სიები კომიტეტს შესაბამისი თხოვნის მიღებიდან ორი კვირის
განმავლობაში გაეგზავნება; იგი მათ შეაჯერებს და ორივე სიაში დასა-
ხელებულ ნებისმიერ წამოყენებულ სახელმწიფოს თანხმობას სთხოვს.

4. თუ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მფარველი სახელმწიფო არ
არის დანიშნული, კონფლიქტის მონაწილე მხარეები დაუყოვნებლივ მი-
იღებენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან მიუკერძოებლო-
ბისა და ევექტიანობის გარანტიის მიმცემა ნებისმიერი სხვა ორგანიზა-
ციის წინადადებას, იმოქმედოს როგორც შემცვლელმა დაინტერესებულ
მხარეებთან კონსულტაციების გზით და ამ კონსულტაციების შედეგე-
ბის გათვალისწინებით. ამგვარი შემცვლელის მოძვაწეობა კონფლიქ-
ტის მონაწილე მხარეების თანხმობაზეა დამოკიდებული; კონფლიქტის
მონაწილე მხარეები ყველა ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუწყონ შემ-
ცვლელს კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისად მისთვის
დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

5. მე-4 მუხლის შესაბამისად, კონვენციათა და წინამდებარე ოქმის
გამოყენების მიზნით მფარველი სახელმწიფოს დანიშვნა და დამტკი-
ცება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ან ნებისმიერი ტერიტორიის,
მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსზე
გავლენას არ მოახდენს.

6. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დიპლომატიური ურთი-
ერთობების შენარჩუნება ან, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის
და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მესამე ქვეყნისათვის მინ-
დობა, ხელს არ შეუშლის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამო-
ყენების უზრუნველსაყოფად მფარველი სახელმწიფოების დანიშვნას.

7. წინამდებარე ოქმში მფარველი სახელმწიფოს ყოველი შემდგომი
მოხსენიება ასევე შემცვლელსაც გულისხმობს.

მუხლი 6 – სპეციალურად მომზადებული პერსონალი

1. ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, მაღალი ხელშემაკრეული მხარეები
წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის)
ეროვნული საზოგადოებების დახმარებით შეეცდებიან მოამზადონ სპე-
ციალური პერსონალი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კონვენციებისა
და წინამდებარე ოქმის გამოყენებას და, კერძოდ, მფარველი სახელმწი-
ფოების საქმიანობას.

2. ამგვარი პერსონალის შეკრება და მომზადება სახელმწიფოთა კომპეტენციაა.

3. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის წარსადგენად შეინახავს მათ მიერ ამ მიზნით შედგენილ და მისთვის გადაცემულ ამგვარად მომზადებულ პირთა სიებს.

4. ასეთი პერსონალის ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მუშაობის მარეგულირებელი პირობები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმებების საგანი იქნება.

მუხლი 7 – შეხვედრები

წინამდებარე ოქმის დეპოზიტარი ერთი ან რამდენიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის და მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა უმეტესობის თანხმობით, მოაწვობს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების შეხვედრას კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი სახის პრობლემების განსახილველად.

პარი II

დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები

ნაწილი I

ზოგადი დებულებები დაცვის შესახებ

მუხლი 8 – ტერმინოლოგია

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

(ა) „დაჭრილები” და „ავადმყოფები” აღნიშნავს როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე სამოქალაქო პირებს, რომელთაც ტრავმის, ავადმყოფობის ან სხვა ფიზიკური ან ფსიქიკური აშლილობის ან ინვალიდობის გამო სამედიცინო დახმარება ან მოვლა ესაჭიროებათ და რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი მტრული მოქმედებისგან. ეს განსაზღვრებები ასევე ფარავს მშობიარეებს, ახალშობილებსა და სხვა პირებს, რომელთაც შესაძლოა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან მოვლა ესაჭიროებათ, მაგალითად, ფეხმძიმე ქალებს და უმწეოებს, რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი სახის მტრული მოქმედებისაგან;

(ბ) „ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები” აღნიშნავს როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე სამოქალაქო პირებს, რომელთაც მათ გადამყვან საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე ან უშუალოდ მათ თავს დატრიალებული უბედური შემთხვევის გამო ზღვაში ან სხვა წყლებში საფრთხე ემუქრებათ, და რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი სახის მტრული მოქმედებისაგან.

აღნიშნული პირები, იმ პირობით, რომ განაგრძობენ ნებისმიერი სახის მტრული მოქმედებისაგან თავის შეკავებას, ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებად ითვლებიან გადარჩენის მომენტიდან იმ დრომდე, ვიდრე კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ სხვა სტატუსს არ მიიღებენ;

(გ) „სამედიცინო პერსონალი“ აღნიშნავს კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ (ე) ქვე-პუნქტში მითითებული სამედიცინო მიზნების აღსრულებისათვის, სამედიცინო ფორმირების ადმინისტრაციულ-სამედიცინო უზრუნველყოფისათვის ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებზე სამუშაოდ და მათი ადმინისტრაციულ-სამეურნეო უზრუნველყოფისათვის დანიშნულ პირებს. ასეთი დანიშვნა შეიძლება მუდმივი ან დროებითი იყოს. ტერმინი მოიცავს:

(i) კონფლიქტის მონაწილე მხარის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს, პირველ და მეორე კონვენციებში მითითებულ პერსონალს სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების პერსონალის ჩათვლით;

(ii) წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ეროვნული საზოგადოებებისა და კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ სათანადოდ აღიარებული და უფლებამოსილი სხვა ეროვნული ნებაყოფლობითი დამხმარე ორგანიზაციების სამედიცინო პერსონალს;

(iii) მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში მითითებული სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების სამედიცინო პერსონალს;

(დ) „სასულიერო პერსონალი“ გულისხმობს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს, მაგალითად კაპელანებს, რომლებიც მხოლოდ სასულიერო ფუნქციების აღსრულებით არიან დაკავებული და მიკუთვნებული არიან:

(i) კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებულ ძალებს;

(ii) კონფლიქტის მონაწილე მხარის სამედიცინო ფორმირებებს ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს;

(iii) მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში მითითებულ სამედიცინო ფორმირებებს ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს; ან

(iv) კონფლიქტის მონაწილე მხარის სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებს.

სასულიერო პერსონალის მიკუთვნება შესაძლებელია როგორც მუდმივად, ისე დროებით, და მასზე ვრცელდება (ლ) ქვე-პუნქტის შესაბამისი დებულებები;

(ე) „სამედიცინო ფორმირებები“ გულისხმობს სამედიცინო მიზნით, კერძოდ, დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მოძიების, თავმოყრის, ტრანსპორტირების, მათთვის დიაგნოზის დასმის ან მეურნეობის, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ან დაავადებათა პროფილაქტიკისათვის შექმნილ დაწესებულებებს და სხვა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ფორმირებებს. მაგალითისთვის, ტერმინი მოიცავს ჰოსპიტლებს და სხვა მსგავს სამედიცინო ინსტიტუტებს, სისხლის

გადასხმის ცენტრებს, პრევენციულ სამედიცინო ცენტრებსა და ინსტიტუტებს, სამედიცინო სადგურებსა და ასეთ დაწესებულებათა სამედიცინო და ფარმაცოლოგიურ საწყობებს; სამედიცინო ფორმირებები შეიძლება იყოს სტაციონარული ან მოძრავი, მუდმივი ან დროებითი;

(გ) „სანიტარული გადაზიდვა“ გულისხმობს ხმელეთით, წყლით ან საჰაერო გზით დატვირთვა, აგადმოყვანა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დაცვის ქვეშ მყოფი სამედიცინო და სასულიერო პერსონალის გადაყვანას, სამედიცინო აღჭურვილობისა ან საშუალებების გადატანას;

(ზ) „სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები“ გულისხმობს ნებისმიერ სამხედრო ან სამოქალაქო, მუდმივ ან დროებით გადასაყვან საშუალებას, რომელიც სანიტარული გადაზიდვისათვის გამოიყენება და რომელსაც კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო ზედამხედველობს;

(თ) „სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები“ გულისხმობს ხმელეთით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

(ი) „სანიტარული გემები და ხომალდები“ გულისხმობს წყლით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

(კ) „სანიტარული საჰაერო ხომალდი“ გულისხმობს ჰაერით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

(ლ) „მუდმივი სამედიცინო პერსონალი“, „მუდმივი სამედიცინო ფორმირებები“ და „მუდმივი სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები“ გულისხმობს განუსაზღვრელი ვადით მოქმედ მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილ პერსონალს, ფორმირებებსა და ტრანსპორტს. „დროებითი სამედიცინო პერსონალი“, „დროებითი სამედიცინო ფორმირებები“ და „დროებითი სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი“ გულისხმობს განსაზღვრული ვადით მოქმედ მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილ პერსონალს, ფორმირებებსა და ტრანსპორტს. სხვა სპეციალური განმარტებების არარსებობის შემთხვევაში ტერმინები „სამედიცინო ფორმირებები“, „სამედიცინო პერსონალი“ და „სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები“ როგორც მუდმივ, ისე დროებით კატეგორიებს ეხება;

(მ) „განმასხვავებელი ემბლემა“ გულისხმობს თეთრ ფონზე წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ან წითელი ლომისა და მზის გამომსახველ ემბლემას, როცა ის სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო და სასულიერო პერსონალისა და აღჭურვილობის ან საშუალებების დასაცავად გამოიყენება;

(ნ) „განმასხვავებელი სიგნალი“ ნიშნავს ნებისმიერ სიგნალს ან შეტყობინებას, რომელიც, წინამდებარე ოქმის I დანართის III თავის შესაბამისად, მხოლოდ სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოსაცნობადაა დადგენილი.

მუხლი 9 – გამოყენების სფერო

1. წინამდებარე კარი, რომლის დებულებები მიმართულია დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, გამოიყენება ყოველი პირის მიმართ, რომელსაც შეეხო პირველ მუხლში მითითებული ვითარება, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის, ან რომელიმე სხვა მსგავსი კრიტერიუმის საფუძველზე დამყარებული არაკეთილსამსურველი განსხვავების გარეშე.

2. პირველი კონვენციის 27-ე და 32-ე მუხლების შესაბამისი დებულებები გამოიყენება მუდმივი სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების (გარდა ჰოსპიტალური გემებისა, რომელთა მიმართ მეორე კონვენციის 25-ე მუხლის დებულებები მოქმედებს) და მათი პერსონალის მიმართ, რომელიც ჰუმანიტარული მოღვაწეობისთვის კონფლიქტის მონაწილე მხარის განკარგულებაში გადასცა:

- (ა) ნეიტრალურმა ან სხვა სახელმწიფომ, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარე არ არის;
- (ბ) ასეთი სახელმწიფოს მიერ აღიარებულმა და უფლებამოსილმა დამხმარე ორგანიზაციამ;
- (გ) მიუკერძოებელმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ.

მუხლი 10 – მფარველობა და ზრუნვა

1. ყველა დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირი, მიუხედავად იმისა, თუ იგი რომელ მხარეს ეკუთვნის, პატივისცემითა და დაცვით სარგებლობს.

2. ნებისმიერ გარემოებაში მათ ადამიანურად მოეპყრობიან და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში და უმოკლეს ვადაში მდგომარეობის შესატყვის სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ. გამორიცხულია მათი რაიმე ნიშნით განსხვავება, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით ნაკარნახევისა.

მუხლი 11 – ცალკეული პირების დაცვა

1. დაუშვებელია პირველ მუხლში მითითებული სიტუაციის შედეგად მოწინააღმდეგის ხელისუფლებაში მყოფი, ინტერნირებული, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებადეკეთილი პირების ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ხელშეუხებლობისათვის რაიმე მოქმედებით ან დაუდევრობით ზიანის მიყენება. შესაბამისად, აკრძალულია ამ მუხლში მოცემულ პირთა მიმართ ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, რომელიც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან არ გამომდინარეობს და არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, რომლებიც, ანალოგიურ სამედიცინო შემთხვევებში, პროცედურის ჩამტარებელი სახელმწიფოს არათავისუფლებადეკეთილი მოქალაქეების მიმართ გამოიყენება.

2. კერძოდ, იკრძალება ასეთ პირთა მიმართ, თუნდაც მათი თანხმობით, შემდეგი ქმედებების ჩადენა:

- (ა) ფიზიკური დასახინჩრება;
- (ბ) სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება;
- (გ) ტრანსპლანტაციის მიზნით ქსოვილების ან ორგანოების ამოკვეთა,

გარდა შემთხვევებისა, როცა ამგვარი მოქმედებები გამართლებულია პირველ პარაგრაფში მითითებული პირობების თანახმად.

3. მე-2(გ) პარაგრაფში გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს, როცა სისხლის გადასხმის მიზნით სისხლს ან კანის გადანერგვის მიზნით კანს აბარებენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველივე ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების ან წაქეზების გარეშე და ამასთან მხოლოდ თერაპიული მიზნებით და საყოველთაოდ აღიარებული სამედიცინო ნორმების შესაბამის პირობებში ხდება და როგორც დონორის, ასევე მიმღების საკუთილდღეოდ განხორციელებული კონტროლის ქვეშ ხორციელდება.

4. ნებისმიერი წინასწარ განზრახული ქმედება ან დაუდევრობა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი პირის, რომელიც მას არ ეკუთვნის, ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას ან ხელშეუხებლობას, რომელიც არღვევს პირველ და მე-2 პარაგრაფებში მითითებულ აკრძალვებს ან არ პასუხობს მე-3 პარაგრაფის მოთხოვნებს, წინამდებარე ოქმის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს.

5. პირველ პარაგრაფში მითითებულ პირებს შეუძლიათ უარი თქვან ნებისმიერ ქირურგიულ ოპერაციაზე. უარის შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი შეეცდება პაციენტის მიერ ხელმოწერილი ან დადასტურებული შესაბამისი წერილობითი განცხადება მიიღოს.

6. კონფლიქტის მონაწილე ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს სამედიცინო ჩანაწერები პირველ პარაგრაფში მითითებული სისხლის ჩაბარების ან კანის გადანერგვის ყველა შემთხვევის შესახებ, თუკი ასეთი რამ ამ მხარის პასუხისმგებლობით ხორციელდება. გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე შეეცდება აღრიცხოს ინტერნირებულ, დაკავებულ ან პირველ მუხლში მითითებული სიტუაციის შედეგად ნებისმიერი ფორმით თავისუფლებადაკეტილ პირთა მიმართ ჩატარებული ყველა სამედიცინო პროცედურა. ამგვარი ჩანაწერები მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს მფარველი სახელმწიფოს მიერ შემოწმებისათვის.

მუხლი 12 – სამედიცინო ფორმირებების დაცვა

1. სამედიცინო ფორმირებები ნებისმიერ დროს პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ და თავდასხმის ობიექტს არ წარმოადგენენ.

2. პირველი პარაგრაფი სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების მიმართ იმ პირობით გამოიყენება, რომ ისინი:

- (ა) კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს ეკუთვნიან;
- (ბ) კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ არიან აღიარებული ან უფლებამოსილი; ან
- (გ) უფლებამოსილი არიან წინამდებარე ოქმის მე-9 მუხლის მე-2

პარაგრაფის ან პირველი კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად.

3. კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს თავიანთი სტაციონარული სამედიცინო ფორმირებების განლაგების შესახებ აცნობონ. ამგვარ შეტყობინებათა არარსებობა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს პირველი პარაგრაფის დებულებათა დაცვისაგან.

4. არც ერთ ვითარებაში სამედიცინო ფორმირებები არ უნდა გამოიყენებოდეს სამხედრო ობიექტების თავდასხმისგან დასაფარად. კონფლიქტში მონაწილე მხარეები, შესაძლებლობის შემთხვევაში, სამედიცინო ფორმირებებს ისე განალაგებენ, რომ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმის დროს მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება.

მუხლი 13 – სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების დაცვის შეწყვეტა

1. დაცვა, რომლითაც სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებები სარგებლობენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში წყდება, როცა მათ ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულების გარდა, მოწინააღმდეგისათვის საზიანო ქმედებებისთვისაც იყენებენ. თუმცა, დაცვა წყდება მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, რომელიც ყველა საჭირო შემთხვევაში გონივრულ ვადას აწესებს და მას შემდეგ, რაც გაფრთხილება მხედველობაში არ იყო მიღებული.

2. მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად არ ითვლება:

(ა) სამედიცინო ფორმირებათა პერსონალის მიერ თავდაცვის ან მათ მზრუნველობაში მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების დაცვის მიზნით პირადი მსუბუქი იარაღის ტარება;

(ბ) სამედიცინო ფორმირების გუშაგებით, მორიგეებით ან ბადრავით დაცვა;

(გ) სამედიცინო ფორმირებაში ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის ჩამორთმეული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების არსებობა, რომელიც შესაბამისი სამსახურებისათვის ჯერ არ გადაუციათ;

(დ) სამედიცინო ფორმირებებში სამედიცინო ხასიათის მოსაზრებებიდან გამომდინარე სამხედრო მოსამსახურეთა ან სხვა კომბატანტების ყოფნა.

მუხლი 14 – სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების რეკვიზიციის შეზღუდვა

1. ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის სამედიცინო მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

2. ოკუპანტი სახელმწიფოს არ შეუძლია სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების, მათი აღჭურვილობის, ქონების რეკვიზიცია, ასევე მათი პერსონალის იძულებით მუშაობა, ვიდრე ეს რესურსები სამოქალაქო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, მკურნალობაზე მყოფი დაჭრილებისა და ავადმყოფების უწყვეტი მოვლისათვის იქნება აუცილებელი.

3. იმ პირობით, რომ შესრულდება მე-2 პარაგრაფში მითითებული ზოგადი წესი, ოკუპანტი სახელმწიფოს რეკვიზიციის განხორციელება

შემდეგ კონკრეტულ პირობებში შეუძლია:

(ა) რესურსები აუცილებელია ოკუპანტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი დაჭრილი და ავადმყოფი პირების ან სამხედრო ტყვეებისათვის გადაუდებელი და სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

(ბ) რეკვიზიცია გრძელდება მანამ, სანამ ასეთი საჭიროება არსებობს; და

(გ) დაუყოვნებლივ მიიღება ზომები, რათა კვლავაც უზრუნველყოფილი იყოს იმ სამოქალაქო მოსახლეობისა და მკურნალობაზე მყოფი დაჭრილებისა და ავადმყოფების სამედიცინო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელთაც ეს რეკვიზიცია შეეხო.

მუხლი 15 – სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა

1. სამოქალაქო სამედიცინო პერსონალი დაცვითა და პატივისცემით სარგებლობს.

2. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონებში, სადაც საომარი მოქმედებების გამო დარღვეულია სამოქალაქო სამედიცინო სამსახურის მუშაობა, სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს ყველა შესაძლო დახმარებას გაუწევენ.

3. ოკუპანტი სახელმწიფო ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს, რათა მან თავისი ჰუმანიტარული ფუნქციების საუკეთესოდ შესრულება შეძლოს. ოკუპანტი სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ პერსონალმა სამედიცინო მოსაზრებებისაგან განსხვავებული რაიმე მოსაზრებით რომელიმე პირს უპირატესობა მიანიჭოს. დაუშვებელია პერსონალის იძულება შეასრულოს მისი ჰუმანიტარული ფუნქციების შეუსაბამო ამოცანები.

4. სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს ხელი მიუწვდება ყველგან, სადაც მისი დახმარების საჭიროება არსებობს, ოღონდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება კონტროლისა და უსაფრთხოების ის ზომები, რომელთაც კონფლიქტში მონაწილე დაინტერესებული მხარე აუცილებლად მიიჩნევს.

5. სამოქალაქო სასულიერო პერსონალი პატივისცემითა და დაცვით სარგებლობს. მასზე თანაბრად ვრცელდება კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებები, რომელიც სამედიცინო პერსონალის დაცვასა და ამოცანებს შეეხება.

მუხლი 16 – სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა ზოგადი დაცვა

1. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია სამედიცინო ეთიკის შესაბამისად თავისი ფუნქციების შესრულებისათვის პირის დასჯა, განურჩევლად იმისა, თუ ვისი ინტერესების სასარგებლოდ აკეთებს იგი ამას.

2. სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელი პირები არ უნდა აიძულონ, შეასრულონ სამუშაო, რომელიც არღვევს სამედიცინო ეთიკას ან

დაჭრილთა და ავადმყოფთა ინტერესების დამცავ სხვა სამედიცინო ნორმებს, კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებებს, ან, რომ თავი შეიკავონ აღნიშნული ნორმებითა და დებულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისაგან.

3. სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელი არც ერთი პირი არ უნდა აიძულონ, რომ რომელიმე მხარეს – მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ან საკუთარი ქვეყნის წარმომადგენელს, გარდა ამ უკანასკნელის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიაწოდოს ინფორმაცია ავადმყოფების ან დაჭრილების შესახებ, რომლებიც მასთან მკურნალობენ ან მკურნალობდნენ, თუ ინფორმაციის გადაცემა, მისი აზრით, პაციენტებს ან მათ ოჯახებს ავნებს. თუმცა, ამასთანავე უნდა შესრულდეს ინფექციური დაავადებების შეტყობინების შესახებ სავალდებულო მოთხოვნები.

მუხლი 17 – სამოქალაქო მოსახლეობისა და დახმარების საზოგადოებების როლი

1. სამოქალაქო მოსახლეობა პატივისცემით უნდა მოეპყროს დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, თუნდაც ისინი მოწინააღმდეგე მხარეს ეკუთვნოდნენ და არ უნდა დაუშვას მათ მიმართ ძალადობის აქტების გამოყენება. სამოქალაქო მოსახლეობას და დახმარების ორგანიზაციებს, როგორცაა წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ეროვნული საზოგადოებები, შეუძლიათ საკუთარი ინიციატივითაც კი შეაგროვონ დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები და მოუარონ მათ, თუნდაც დაპყრობილ ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამგვარი ჰუმანიტარული მოქმედებისათვის არავის არ დააზიანებენ, დევნიან, გაასამართლებენ ან დასჯიან.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ თვითონ მიმართონ სამოქალაქო მოსახლეობას და პირველ პარაგრაფში მითითებულ დახმარების საზოგადოებებს შეაგროვონ დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები, მოუარონ მათ, მოიძიონ გარდაცვლილები და აცნობონ მათი ადგილმდებარეობა; ისინი უზრუნველყოფენ იმ პირთა დაცვასა და მხარდაჭერას, რომლებიც ასეთ მოწოდებას გამოეხმაურებიან. საჭიროების შემთხვევაში დაცვასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფს მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც დაამყარებს ან აღადგენს თავის კონტროლს ამ ტერიტორიაზე.

მუხლი 18 – ამოცნობა

1. კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე შეეცდება უზრუნველყოს სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, ასევე სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობა.

2. აგრეთვე, კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე შეეცდება გამოიყენოს და განახორციელოს ის მეთოდები და პროცედურები, რომელიც ხელს უწყობს განმასხვავებელი ემბლემებისა და განმასხვავებელი სიგნალების გამოყენებელი სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობას.

3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რაიონებში, სადაც შეიძლება და-

იწყოს ან მიმდინარეობს ბრძოლები, სამოქალაქო სამედიცინო პერსონალისა და სამოქალაქო სასუღერო პერსონალის ამოცნობა ხდება განმასხვავებელი ემბლემითა და მათი სტატუსის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით.

4. კომპეტენტური ხელისუფლების თანხმობით, სამედიცინო ფორმირებები და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები განმასხვავებელი ემბლემით აღინიშნება. წინამდებარე ოქმის 22-ე მუხლში მოსხენებული გემები და ხომალდები მეორე კონვენციის დებულებათა შესაბამისად აღინიშნება.

5. განმასხვავებელი ემბლემის გარდა, კონფლიქტის მონაწილე მხარეს შეუძლია, წინამდებარე ოქმის I დანართის III თავის შესაბამისად, ნება დართოს სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა ამოცნობისათვის განმასხვავებელი სიგნალების გამოყენებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამ თავით გათვალისწინებული გამონაკლისის სახით, სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ განმასხვავებელი სიგნალები განმასხვავებელი ემბლემების გამოსახვის გარეშე გამოიყენონ.

6. ამ მუხლის 1-5 პარაგრაფების დებულებათა გამოყენება წინამდებარე ოქმის I დანართის I-III თავებით განისაზღვრება. დანართის III თავში მითითებული სიგნალები, რომელიც მხოლოდ სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების აღნიშვნისთვისაა განკუთვნილი, არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ თავში მითითებული სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობისა.

7. წინამდებარე მუხლის დებულებებით არ არის ნებადართული მშვიდობიან პერიოდში განმასხვავებელი ემბლემის პირველი კონვენციის 44-ე მუხლის ფარგლებს გარეთ გამოყენება.

8. კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის განმასხვავებელი ემბლემების გამოყენებასთან, კონტროლსა და ბოროტად გამოყენების აღკვეთასთან დაკავშირებული დებულებები განმასხვავებელ სიგნალებსაც შეეხება.

მუხლი 19 – ნეიტრალური და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან

ნეიტრალური და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან, წინამდებარე ოქმის დებულებებს გამოიყენებენ ამ კარის შესაბამისად დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება მიღებული ან ინტერნირებული იყვნენ მათ ტერიტორიაზე, ასევე მათ მიერ აღმოჩენილ გარდაცვლილთა მიმართ, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკუთვნიან.

მუხლი 20 – რეპრესალიების აკრძალვა

წინამდებარე კარის თანახმად დაცვის ქვეშ მყოფი პირებისა და ობიექტების მიმართ რეპრესალიები აკრძალულია.

ნაწილი II სანიტარული ბაღაზიძეები

მუხლი 21 – სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები

სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები, კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებათა შესაბამისად მოძრავი სამედიცინო ფორმირებებისათვის გათვალისწინებული პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ.

მუხლი 22 – ჰოსპიტალური გემები და სანაპირო სამაშველო სანაოსნო საშუალებები

1. კონვენციითა დებულებები, რომლებიც ეხება:

- (ა) მეორე კონვენციის 22-ე, 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლში მითითებულ ხომალდებს,
- (ბ) მათ სამაშველო ნაგებს და მცირე სანაოსნო საშუალებებს,
- (გ) მათ პერსონალსა და ეკიპაჟს, და
- (დ) ბორტზე მყოფ დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს,

ასევე ეხება ვითარებას, როდესაც ამ ხომალდებს გადაჰყავთ დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები, რომლებიც მეორე კონვენციის მე-13 მუხლში მითითებულ არც ერთ კატეგორიას არ ეკუთვნიან. თუმცა, არ შეიძლება ამ სამოქალაქო პირთა გადაცემა სხვა ქვეყნისათვის, რომელსაც ისინი არ ეკუთვნიან, ან ზღვაზე მათი დატყვევება. თუ ეს პირები კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოექცევიან, რომელსაც ისინი არ ეკუთვნიან, მათზე მეოთხე კონვენციისა და წინამდებარე ოქმის დებულებები გავრცელდება.

2. მეორე კონვენციის 25-ე მუხლში მითითებული ხომალდების კონვენციებით გათვალისწინებული დაცვა ჰოსპიტალურ გემებზეც ვრცელდება, რომლებიც ჰუმანიტარული მოსაზრებებით კონფლიქტის მონაწილე მხარეს დაუთმო:

- (ა) ნეიტრალურმა ან სხვა სახელმწიფომ, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს; ან
 - (ბ) მიუკერძოებელმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ,
- იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში ამ მუხლში ჩამოთვლილი მოთხოვნები შესრულდება.

3. მეორე კონვენციის 27-ე მუხლში მითითებული მცირე სანაოსნო საშუალებები დაცვით მაშინაც სარგებლობენ, როცა ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება არ გაკეთებულა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მოუწოდებენ გაცვალონ დაწვრილებითი ინფორმაცია ამგვარი სანაოსნო საშუალებების შესახებ, რომელიც მათ ამოცნობასა და დადგენას შეუწყობს ხელს.

მუხლი 23 – სხვა სანიტარული გემები და სანაოსნო საშუალებები

1. სანიტარული გემები და სანაოსნო საშუალებები, გარდა წინამდე-

ბარე ოქმის 22-ე მუხლში და მეორე კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული გეგმებისა და სანაოსნო საშუალებებისა, რომლებიც ზღვაში ან სხვა წყლებში იმყოფებიან, ისეთივე პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ, როგორიც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისად მოძრავი სამედიცინო ფორმირებებისთვისაა გათვალისწინებული. ვინაიდან ეფექტური დაცვა შეიძლება მხოლოდ მათი ამოცნობის შემთხვევაში განხორციელდეს, ამგვარი გეგმები განმასხვავებელი ემბლემით უნდა აღინიშნოს და მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში დაცული უნდა იყოს მეორე კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის დებულებები.

2. პირველ პარაგრაფში მითითებული გეგმები და სანაოსნო საშუალებები ომის კანონების დაქვემდებარებაში რჩებიან. წყლის ზედაპირზე მყოფ ნებისმიერ სამხედრო ხომალდს, რომელსაც უნარი შესწევს მათ მისი ბრძანების დაუყოვნებლივ შესრულება აიძულოს, შეუძლია მათ გაჩერება, რაიონის დატოვება ან გარკვეული კურსის აღება უბრძანოს, რასაც ისინი უნდა დაემორჩილონ. დაუშვებელია ასეთი გეგმებისა და სანაოსნო საშუალებების სხვაგვარად ჩამოცილება მათი სამედიცინო მისიისაგან, ვიდრე ისინი საჭირო არიან ბორტზე მყოფი დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირებისათვის.

3. პირველ პარაგრაფში მითითებული დაცვა მხოლოდ მეორე კონვენციის 34-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობებში წყდება. მე-2 პარაგრაფის შესაბამისად გაცემული ბრძანების შესრულებაზე აშკარა უარი, მეორე კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად ითვლება.

4. კონფლიქტის მონაწილე მხარეს შეუძლია, გამგზავრებამდე რაც შეიძლება ადრე ნებისმიერ მოწინააღმდეგე მხარეს აცნობოს სამედიცინო გემის ან სანაოსნო საშუალების სახელწოდების, ტექნიკური მონაცემების, ცურვის მოსალოდნელი ხანგრძლივობის, კურსისა და მოსალოდნელი სიჩქარის შესახებ, განსაკუთრებით თუ ეს 2,000-ზე მეტი ბრუტოტონის ხომალდებს ეხება. მას ასევე შეუძლია ნებისმიერი სხვა მონაცემი აცნობოს, რომელიც მათ ამოცნობას გააადვილებს. მოწინააღმდეგე მხარე ასეთი ინფორმაციის მიღებას დაადასტურებს.

5. მეორე კონვენციის 37-ე მუხლის დებულებები გამოიყენება ასეთ გემებსა და სანაოსნო საშუალებებზე მყოფი სამედიცინო და სასულიერო პერსონალის მიმართ.

6. მეორე კონვენციის დებულებები გამოიყენება ამ კონვენციის მე-13 მუხლსა და წინამდებარე ოქმის 44-ე მუხლში მითითებული დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება ასეთ გემებსა და სანაოსნო საშუალებებზე იმყოფებოდნენ. დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი სამოქალაქო პირები, რომლებიც მეორე კონვენციის მე-13 მუხლში მითითებულ არც ერთ კატეგორიას არ ეკუთვნიან, ზღვაზე ყოფნისას არ გადაეცემიან არც ერთ სახელმწიფოს, რომელსაც არ ეკუთვნიან; ასევე არ შეიძლება მათი ჩამოსხმა გემებიდან და სანაოსნო საშუალებებიდან, მაგრამ თუ მითითებული პირები კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლებაში მოექცევიან, რომელსაც არ ეკუთვნიან,

მათზე მეოთხე კონვენციისა და წინამდებარე ოქმის დებულებათა მოქმედება გაგრძელდება.

მუხლი 24 – სანიტარული საჰაერო ხომალდების დაცვა

წინამდებარე კარის დებულებების თანახმად, სანიტარული საჰაერო ხომალდები პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ.

მუხლი 25 – სანიტარული საჰაერო ხომალდები მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაუქვემდებარებულ რაიონებში

ხმელეთის რაიონებსა და მათ ზემოთ საჰაერო სივრცეში, სადაც ფიზიკურ კონტროლს მოკავშირეთა ძალები ახორციელებენ ან ზღვის რაიონებსა და მათ ზემოთ საჰაერო სივრცეში, სადაც მოწინააღმდეგე მხარის კონტროლი არ ხორციელდება, კონფლიქტის მონაწილე მხარის სანიტარული საჰაერო ხომალდების პატივისცემა და დაცვა არ არის დამოკიდებული მოწინააღმდეგესთან დადებულ რაიმე შეთანხმებაზე. ამის მიუხედავად, კონფლიქტში მონაწილე მხარეს, რომელიც ამ რაიონებში სანიტარულ საჰაერო ხომალდებს იყენებს, მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეუძლია ეს 29-ე მუხლის თანახმად მოწინააღმდეგე მხარეს აცნობოს, განსაკუთრებით კი თუ როდის ასრულებენ ამგვარი ხომალდები გადაფრენას მოწინააღმდეგის „ხმელეთი-ჰაერის“ ტიპის იარაღის მიღწევადობის ფარგლებში.

მუხლი 26 – სანიტარული საჰაერო ხომალდები ურთიერთშეხების ან მსგავს ზონებში

1. ურთიერთშეხების ზონის იმ ნაწილში, სადაც კონტროლს მოკავშირე ძალები ახორციელებენ, და იმ რაიონებში, სადაც კონტროლი არ არის ნათლად გამოხატული, ასევე შესაბამის საჰაერო სივრცეში, სანიტარული საჰაერო ხომალდების დაცვა სრულიად ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ კონფლიქტში მონაწილე მხარეების კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოთა შორის 29-ე მუხლის შესაბამისი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. თუმცა, ამგვარი შეთანხმების არარსებობის დროს სანიტარული საჰაერო ხომალდები საკუთარი რისკით მოქმედებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამოცნობისთანავე პატივისცემით სარგებლობენ.

2. „ურთიერთშეხების ზონა“ ნიშნავს ხმელეთის ნებისმიერ რაიონს, სადაც მოწინააღმდეგე ძალების მოწინავე ნაწილები ურთიერთშეხებაში იმყოფებიან და განსაკუთრებით ისეთ რაიონს, სადაც ისინი ხმელეთიდან პირდაპირი ცეცხლის მისაღწევ ფარგლებში იმყოფებიან.

მუხლი 27 – სანიტარული საჰაერო ხომალდები მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში

1. კონფლიქტის მონაწილე მხარის სანიტარული საჰაერო ხომალდები განაგრძობენ დაცვით სარგებლობას მოწინააღმდეგის კონტროლს დაქვემდებარებული ხმელეთის ან ზღვის რაიონების თავზე ფრენისას იმ პირობით, რომ ფრენის ნებართვა წინასწარ იყო მიღებული მოწინააღმდეგე მხარის კომპეტენტური ხელისუფლებისაგან.

2. სანიტარული საჰაერო ხომალდი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ კონტროლს დაქვემდებარებული რაიონის თავზე მოძრაობს უკიდურესი სანავიგაციო შეცდომის ან ფრენის უსაფრთხოებისათვის საშიში გარემოებების გამო, და ასევე პირველ პარაგრაფში ფრენის მითითებული ნებართვის გარეშე ან იმ პირობების დარღვევით, რომლითაც მიღებული იყო ასეთი ნებართვა, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ის ამოიცნოს და მან ეს გარემოებები მოწინააღმდეგე მხარეს შეატყობინოს. როგორც კი მოწინააღმდეგე მხარე სანიტარულ საჰაერო ხომალდს ამოიცნობს, იგი საჭირო ზომებს მიიღებს, რათა 30-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად გასცეს მიწაზე ან წყალზე დაშვების ბრძანება, ან მიიღოს სხვა ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. ნებისმიერ შემთხვევაში, თავდასხმამდე მან სანიტარულ საჰაერო ხომალდს მიცემული ბრძანების შესასრულებლად დრო უნდა მისცეს.

მუხლი 28 – სანიტარული საჰაერო ხომალდების გამოყენების შეზღუდვა

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკრძალებათ სანიტარული საჰაერო ხომალდების გამოყენება მოწინააღმდეგე მხარეზე რაიმე სახის სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად. სანიტარული საჰაერო ხომალდების ადგილზე ყოფნა თავდასხმისაგან სამხედრო ობიექტების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად არ უნდა გამოიყენონ.

2. სანიტარული საჰაერო ხომალდები სადაზვერვო მონაცემების შესაკრებად და გადასაცემად და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობის გადასატანად არ უნდა გამოიყენონ. მათ ეკრძალებათ ნებისმიერ იმ პირთა ან იმ ტვირთის ტრანსპორტირება, რომლებიც მე-8 მუხლის (ვ) ქვე-პუნქტის განსაზღვრებაში არ ხვდებათ. არ ეკრძალება მგზავრების პირადი ნივთების, ასევე პილოტირების, კავშირისა და ამოცნობის გაადვილებისათვის გამიზნული აპარატურის გადატანა.

3. სანიტარულ საჰაერო ხომალდში შეიძლება იყოს მხოლოდ დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა კუთვნილი იარაღი და საბრძოლო მასალები, რომელიც ჯერ შესაბამისი სამსახურებისათვის არ გადაუციათ, ასევე პირადი იარაღი, რომელიც სამედიცინო პერსონალს თავდაცვისა და მის მზრუნველობაში მყოფი დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირების დასაცავად შეიძლება დასჭირდეს.

4. 26-ე და 27-ე მუხლებით გათვალისწინებული ფრენის განხორციელებისას, სანიტარული საჰაერო ხომალდები მოწინააღმდეგე მხარესთან წინასწარი შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მოსაძიებლად არ უნდა გამოიყენონ.

მუხლი 29 – შეტყობინებები და შეთანხმებები სანიტარული საჰაერო ხომალდების შესახებ

1. 25-ე მუხლის შესაბამისი შეტყობინებები ან წინასწარი შეთანხმების თაობაზე 26-ე, 27-ე, 28-ე (მე-4 პარაგრაფი) ან 31-ე მუხლის შესაბამისი თხოვნები მოიცავს მონაცემებს სანიტარული საჰაერო ხო-

მაღლების სავარაუდო რაოდენობის,მათი ფრენის გეგმებისა და ამოცნობის საშუალებების შესახებ, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველი ფრენა 28-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდება.

2. მხარე, რომელმაც 25-ე მუხლის თანახმად შეტყობინება მიიღო, დაუყოვნებლივ ადასტურებს ასეთი შეტყობინების მიღებას.

3. მხარე, რომელიც წინასწარი შეთანხმების შესახებ 26-ე, 27-ე, 28-ე (მე-4 პარაგრაფი) ან 31-ე მუხლის შესაბამის თხოვნას მიიღებს, მთხოვნელ მხარეს უმოკლეს ვადაში აცნობებს:

(ა) თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ;

(ბ) თხოვნაზე უარის თქმის შესახებ; ან

(გ) თხოვნის გონივრული ალტერნატიული წინადადებების შესახებ. მან აგრეთვე შეიძლება შესთავაზოს მოცემულ რაიონში შესაბამის დროს სხვა ფრენების შეზღუდვა ან აკრძალვა. თუ მთხოვნელი მხარე შეთავაზებულ წინადადებებს მიიღებს, იგი ასეთი თანხმობის შესახებ მეორე მხარეს აცნობებს.

4. მხარეები შესაბამის ზომებს მიიღებენ, რათა შეტყობინებების გაგზავნისა და შეთანხმებების დადების უსწრაფესი წესით განხორციელდეს უზრუნველყონ.

5. მხარეები ასევე შესაბამის ზომებს მიიღებენ, რათა სასწრაფოდ ამ შეტყობინებათა და შეთანხმებათა შინაარსი შესაბამის სამხედრო შენაერთებს გააცნონ და ჩაუტარონ მათ ინსტრუქტაჟი ამოცნობის იმ საშუალებათა შესახებ, რომელსაც კონკრეტული სანიტარული საჰაერო ხომალდი გამოიყენებს.

მუხლი 30 – სანიტარული საჰაერო ხომალდების დაშვება და შემოწმება

1. სანიტარულ საჰაერო ხომალდებს, რომლებიც დაფრინავენ მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაქვემდებარებული რაიონების თავზე ან რაიონებზე, სადაც კონტროლი ნათლად გამოხატული არ არის, გარემოებათა შესაბამისად შეიძლება უბრძანონ ხმელეთზე ან ზღვაზე დაშვება ქვემო პარაგრაფებით გათვალისწინებული შემოწმების ჩასატარებლად. სანიტარული საჰაერო ხომალდები ვალდებული არიან ნებისმიერ ასეთ ბრძანებას დაემორჩილონ.

2. ხმელეთზე ან ზღვაზე ბრძანების საფუძველზე ან რაიმე სხვა მიზეზით დაშვების შემთხვევაში სანიტარული საჰაერო ხომალდი შეიძლება შემოწმდეს ერთადერთი მიზნით, რათა დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ის მე-3 და მე-4 პარაგრაფების პირობებს. ნებისმიერი ამგვარი შემოწმება შეუფერხებლად და უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს. შემოწმებელმა მხარემ არ უნდა მოითხოვოს დაჭრილთა და ავადმყოფთა ხომალდიდან გადმოყვანა, თუ ამას შემოწმებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობა შემოწმების ან ხომალდიდან გადაყვანის შედეგად არ გაუარესდეს.

3. თუ შემოწმებით დადგინდება, რომ საჰაერო ხომალდი:

(ა) სანიტარული საჰაერო ხომალდია მე-8 მუხლის (კ) ქვეპუნქტის თანახმად,

(ბ) არ არღვევს 28-ე მუხლის დებულებებს, და

(გ) ფრენას ასრულებს წინასწარი შეთანხმების თანახმად ან ასეთი შეთანხმების დაურღვევლად, როცა ასეთი შეთანხმება აუცილებელია,

მაშინ მასში მყოფ მოწინააღმდეგე მხარის, ნეიტრალური სახელმწიფოს ან იმ მხარის წარმომადგენლებს, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, ფრენის დაუყოვნებლივ გაგრძელების ნებას დართავენ.

4. თუ შემოწმებით დადგინდება, რომ საჰაერო ხომალდი:

(ა) არ წარმოდგენს სანიტარულ საჰაერო ხომალდს მე-8 მუხლის

(კ) ქვეპუნქტის თანახმად,

(ბ) არღვევს 28-ე მუხლის პირობებს, ან

(გ) ფრენას ასრულებს წინასწარი შეთანხმების გარეშე ან მისი დარღვევით, როცა ასეთი შეთანხმება აუცილებელია,

მაშინ ამგვარი საჰაერო ხომალდი შეიძლება დააკავონ. ხომალდში მყოფ პირებს კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისი დებულებების თანახმად მოეპყრობიან. ნებისმიერი დაკავებული საჰაერო ხომალდი, რომელსაც მუდმივ სანიტარულ საჰაერო ხომალდად იყენებდნენ, შემდგომშიც მხოლოდ სანიტარული საჰაერო ხომალდის სახით შეიძლება გამოიყენონ.

მუხლი 31 – ნეიტრალური ან სხვა სახელმწიფოები,

რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან

1. წინასწარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სანიტარული საჰაერო ხომალდი არ უნდა დაფრინდეს ნეიტრალური ან კონფლიქტის არამონაწილე მხარის ტერიტორიაზე. თუმცა, ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სანიტარული საჰაერო ხომალდი მთელი ფრენის მანძილზე, ასევე შუალედური დაფრენის დროსაც პატივისცემით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ისინი ვალდებული არიან, გარემოებების შესაბამისად, ზღვაზე ან ხმელეთზე დაშვების მოთხოვნას დაემორჩილონ.

2. იმ შემთხვევაში, როცა სანიტარული საჰაერო ხომალდი სანავიგაციო შეცდომის ან განსაკუთრებული გარემოებების გამო, რომელიც გავლენას ახდენს ფრენის უსაფრთხოებაზე, დაფრინდება ნეიტრალური ან ისეთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, ყველა ზომას მიიღებს, რათა ის ამოიციონ და მან ეს გარემოებები შესაბამის მხარეს შეატყობინოს. სანიტარული საჰაერო ხომალდის ამოცნობისთანავე, ასეთი სახელმწიფო ყველა ღონეს იხმარს, რათა გასცეს 30-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისი ბრძანება ხმელეთზე ან წყალზე დაშვების შესახებ, ან სხვა ზომებს მიმართავს თავისი ინტერესების დასაცავად. ნებისმიერ შემთხვევაში, თავდასხმამდე მან საჰაერო ხომალდს ბრძანების შესასრულებლად აუცილებელი დრო უნდა მისცეს.

3. როდესაც სანიტარული საჰაერო ხომალდი შეთანხმებების შესაბამისად ან მე-2 პარაგრაფში მითითებული გარემოებებით განპირობებული ბრძანების თანახმად, ან რაიმე სხვა მიზეზით იძულებულია ნეიტრალური ან ისეთი სახელმწიფოს ხმელეთზე ან წყალზე დაეშვას,

რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, ის შემოწმდება, რათა დადგინდეს, არის თუ არა ის ნამდვილად სანიტარული საპაერო ხომალდი. შემოწმება შეუფერხებლად და უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს. შემოწმებელმა მხარემ არ უნდა მოითხოვოს დაჭრილებისა და ავადმყოფების ხომალდიდან გადმოყვანა, თუ ამას შემოწმებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ყველა შემთხვევაში შემოწმებელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ შემოწმების ან გადმოყვანის შედეგად დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობა არ გაუარესდეს. თუ შემოწმება ცხადყოფს, რომ საპაერო ხომალდი ნამდვილად სანიტარულია, მას საშუალება ექნება მასში მყოფი პირებითურთ განაგრძოს ფრენა იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად უნდა დააკავონ. ამასთანავე, ხომალდს ფრენის გაგრძელებისათვის აუცილებელ ყველა პირობას შეუქმნიან. თუ დადგინდა, რომ ეს საპაერო ხომალდი არ არის სანიტარული, მას დააკავებენ და მასში მყოფ პირებს მე-4 პარაგრაფის შესაბამისად მოეპყრობიან.

4. საპაერო ხომალდიდან დროებით ჩამოსხმული პირების გამოკლებით, ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით ნეიტრალური ან კონფლიქტის არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსხმული დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირები, ასეთ სახელმწიფოსა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის განსხვავებული ხასიათის შეთანხმების არარსებობის შემთხვევის გარდა, ამ სახელმწიფოს მიერ, როცა ამას შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები მოითხოვენ, იმგვარად იქნებიან დაკავებულნი, რომ მათ ვეღარ შეძლონ საომარ მოქმედებებში კვლავ მონაწილეობა. ინტერნირებასა და საავადმყოფოში მკურნალობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომელსაც ეს პირები ეკუთვნიან.

5. ნეიტრალური და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კონფლიქტში არ მონაწილეობენ, მათ ტერიტორიაზე სანიტარული საპაერო ხომალდების ფრენასთან ან მათ დაკავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობასა და შეზღუდვას კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიმართ თანაბრად გამოიყენებენ.

ნაწილი III

უზბო-უკვლოდ დაკარბული და ბარდაცვლილი პირები

მუხლი 32 – ზოგადი პრინციპი

წინამდებარე ნაწილის დებულებათა განხორციელებისას, მაღალი ხელშემაკრელი მხარეები, კონფლიქტის მონაწილე მხარეები და კონვენციებსა და წინამდებარე ოქმში მითითებული საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობიან ოჯახის უფლებას – იცოდეს თავისი ახლობლების ბედი.

მუხლი 33 – უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები

1. როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, და ყველაზე გვიან – საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე, კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე მოიძიებს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებს, რომელთა შესახებაც მას მოწინააღმდეგე მხარემ აცნობა. ასეთი მოწინააღმდეგე მხარე ამგვარ პირთა ძიების გასაადვილებლად ყველა საჭირო მონაცემს წარმოადგენს.

2. წინა პარაგრაფის შესაბამისად ცნობების შეკრების გასაადვილებლად კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე იმ პირების შესახებ, რომლებიც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის თანახმად უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობენ:

(ა) მეოთხე კონვენციის 138-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ახორციელებს მონაცემების რეგისტრაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის შედეგად დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა სახით თავისუფლებადაკეტილი იყვნენ ორ კვირაზე მეტი ხნით, ან რომლებიც ამგვარი დაკავების დროს გარდაიცვალნენ;

(ბ) მაქსიმალურად ხელს შეუწყობს აღნიშნულ პირთა მოძიებას და მათ შესახებ მონაცემების რეგისტრაციას, თუ ისინი საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის შედეგად რაიმე სხვა გარემოებაში გარდაიცვალნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თვითონ განახორციელებს ამგვარ მოძიებას და მონაცემების რეგისტრაციას.

3. მონაცემები პირველი პარაგრაფის თანახმად უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული პირების შესახებ და შეკითხვები ამ მონაცემთა შესახებ გადაიცემა უშუალოდ, მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოძიების ცენტრალური სააგენტოს, ან წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ეროვნული საზოგადოებების მეშვეობით. როდესაც მონაცემები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და მისი მოძიების ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით არ გადაიცემა, კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე უზრუნველყოფს ასევე ასეთი მონაცემების მოძიების ცენტრალური სააგენტოსათვის მიწოდებას.

4. კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან შეთანხმდნენ საომარი მოქმედებების არეალში გარდაცვლილთა მოძიების, ამოცნობისა და გამოყვანისათვის საჭირო ჯგუფების შექმნის თაობაზე, რაც, ამასთანავე, აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ჯგუფების მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე მუშაობისას, მათი ამ მხარის პერსონალის მიერ თანხლებასაც უნდა ითვალისწინებდეს. აღნიშნული ჯგუფების პერსონალი ექსკლუზიურად თავისი მოვალეობების შესრულების დროს პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდეს.

მუხლი 34 – გარდაცვლილთა ნეშტი

1. პატივისცემით უნდა მოეპყრონ იმ პირთა ნეშტებს, რომლებიც გარდაიცვალნენ ოკუპაციის ან ოკუპაციასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, ან ოკუპაციასთან ანდა საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ პატიმრობაში და რომლებიც არ იყვნენ იმ სახელმწიფოს მოქალაქე-

ები, სადაც საომარი მიზეზების გამო გარდაიცვალნენ. პატივისცემით უნდა მოეპყრონ ამ პირთა დაკრძალვის ადგილებსაც. იმ შემთხვევაში, თუ მათი დაკრძალვის ადგილები კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის მიხედვით უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობს, მათ მეოთხე კონვენციის 130-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად უვლიან ან აღნიშნავენ.

2. როგორც კი გარემოებები და მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ურთიერთობები ამას შესაძლებელს გახდის, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომელთა ტერიტორიაზეც არის საომარი მოქმედებების შედეგად ან ოკუპაციის დროს, ან პატიმრობაში დაღუპული პირების საფლავები ან მათი ნეშტის დაკრძალვის სხვა ადგილები, დადებენ შეთანხმებებს, რათა:

(ა) ხელი შეუწონ გარდაცვლილთა ნათესავებს და რეგისტრაციის ოფიციალური სამსახურების წარმომადგენლებს, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ საფლავებზე, და აგრეთვე განისაზღვროს ამგვარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრაქტიკული ღონისძიებები;

(ბ) განხორციელდეს დაკრძალვის ამგვარი ადგილების მუდმივი დაცვა და მოვლა;

(გ) შესაბამისი სახელმწიფოს, ან თუ ეს სახელმწიფო წინააღმდეგია, ახლო ნათესავთა თხოვნით განხორციელდეს გარდაცვლილთა ნეშტის და პირადი ქონების სამშობლოში დაბრუნება.

3. მე-2 პარაგრაფის (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში მითითებული შეთანხმებების არარსებობისა და იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილთა სამშობლო არ არის თანახმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაკრძალვის ადგილების შენარჩუნება, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც არის ასეთი ადგილები, შეუძლია ნეშტების სამშობლოში დაბრუნებისათვის დახმარების გაწევა შესთავაზოს. ასეთი წინადადების უარყოფის შემთხვევაში, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ამ წინადადების შეთავაზებიდან ხუთი წლის გასვლისა და შესაბამისი ქვეყნის სათანადოდ შეტყობინების შემდეგ, შეუძლია მიიღოს სასაფლაოებისა და საფლავების შესახებ მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

4. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც არის ამ მუხლში მითითებული დაკრძალვის ადგილები, ექსპრესია შეუძლია მოახდინოს მხოლოდ:

(ა) მე-2(გ) და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად, ან

(ბ) როცა ეს უზენაესი საზოგადოებრივი აუცილებლობითაა გამოწვეული, სამედიცინო ხასიათის და გამოძიებისათვის აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევების ჩათვლით. ასეთ შემთხვევებში მაღალი ხელშემკვრელი მხარე პატივისცემით ეპყრობა გარდაცვლილთა ნეშტს და შესაბამის სახელმწიფოს ატყობინებს ექსპრესიის განზრახვისა და გადასვენების სავარაუდო ადგილის შესახებ.

პარი III
ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები –
კომბატანტებისა და სამხედრო ტყვეების სტატუსი

ნაწილი I
ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები

მუხლი 35 – ძირითადი ნორმები

1. ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, არ არის შეუზღუდავი მასში მონაწილე მხარეების მიერ ომის მეთოდებისა და საშუალებების არჩევის უფლება.
2. საომარი მოქმედებების დროს აკრძალულია ისეთი იარაღის, ჭურვების, ნივთიერებებისა და ომის წარმოების მეთოდების გამოყენება, რომელთაც ჭარბი ზიანის მიყენება ან ტანჯვის გამოწვევა შეუძლიათ.
3. აკრძალულია ომის წარმოების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელთაგან მოსალოდნელია ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი და სერიოზული დაზიანება.

მუხლი 36 – ახალი ტიპის იარაღი

მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ ომის წარმოების ახალი იარაღის, მეთოდების ან საშუალებების შესწავლის, შეძენის ან მიღებისას უნდა დაადგინოს, აკრძალულია თუ არა ასეთი იარაღის გამოყენება ზოგიერთ ან ყველა გარემოებაში წინამდებარე ოქმის ან მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი სხვა ნორმის მიერ.

მუხლი 37 – ვერაგობის აკრძალვა

1. აკრძალულია მოწინააღმდეგის ვერაგობის გზით მოკვლა, დაჭრა ან ტყვედ ჩაგდება. ვერაგობად ითვლება მოწინააღმდეგის ნდობის მოპოვება, მისთვის იმის შთაგონება, რომ უფლება აქვს დაცული იყოს ან რომ მას დაიცავენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად და ამ გზით მოპოვებული ნდობის გაცრეობა. ვერაგობის მაგალითებია:

(ა) დაზავების ან კაპიტულაციის დროშის ქვეშ მოლაპარაკებების წარმოების სურვილის სიმუღირება;

(ბ) დაჭრის ან ავადმყოფობის შედეგად მწყობრიდან გამოსვლის სიმუღირება;

(გ) სამოქალაქო პირის ან არაკომბატანტის სტატუსის ტარების სიმუღირება, და

(დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნეიტრალური სახელმწიფოების ან კონფლიქტის არამონაწილე სხვა სახელმწიფოების ნიშნების, ემბლემების ან საფორმო ტანსაცმლის გამოყენებით იმ სტატუსის ტარების სიმუღირება, რომელიც მისი მფლობელის დაცვას ითვალისწინებს.

2. საომარი ხრიკების გამოყენება არ არის აკრძალული. ხრიკად ით-

ვლება მოწინააღმდეგის დასაბნევად ან შეცდომაში შესაყვანად ჩადენილი მოქმედება, რომელიც არ არღვევს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმას და ამასთან არ არის ვერაგული, რამეთუ არ არყევს მოწინააღმდეგე მხარის რწმენას, რომ ამ სამართლის ძალით მას უფლება აქვს დაცული იყოს. ასეთი ხრიკების მაგალითებია: შენიღბვის, ხაფანგების, ცრუ ოპერაციებისა და დეზინფორმაციის გამოყენება.

მუხლი 38 – აღიარებული ემბლემები

1. აკრძალულია წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის განმასხვავებელი ემბლემების ან კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული სხვა ემბლემების, ნიშნების ან სიგნალების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. ასევე აკრძალულია შეიარაღებული კონფლიქტის დროს საყოველთაოდ აღიარებული სხვა დამცავი ემბლემების, ნიშნებისა და სიგნალების, მათ შორის დაზავების დროშებისა და კულტურული ფასეულობების დამცავი ემბლემების წინასწარი განზრახვით ბოროტად გამოყენება.

2. აკრძალულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბლემის გამოყენება ამ ორგანიზაციის ნებართვის გარეშე.

მუხლი 39 – ეროვნული ემბლემები

1. აკრძალულია შეიარაღებული კონფლიქტის დროს ნეიტრალური სახელმწიფოების ან კონფლიქტის არამონაწილე სახელმწიფოების დროშების, საომარი ემბლემების, სამხედრო წოდებათა განმასხვავებელი ნიშნების ან საფორმო ტანსაცმლის გამოყენება.

2. აკრძალულია მოწინააღმდეგე მხარის დროშების, სამხედრო ემბლემების, სამხედრო წოდებათა განმასხვავებელი ნიშნების გამოყენება თავდასხმის დროს ან საომარი მოქმედებების დასაფარად, ხელშესაწყობად, დასაცავად ან დასაბრკოლებლად.

3. ამ მუხლში ან 37-ე მუხლის 1(დ) პარაგრაფში არაფერია ისეთი, რაც შელახავს ჯაშუშობის ან ზღვაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს დროშების გამოყენების შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

მუხლი 40 – შეწყალება

აკრძალულია ბრძანების გაცემა, რომ არავინ დარჩეს ცოცხალი, აგრეთვე ასეთი ბრძანებით დამუქრება ან საომარი მოქმედებების მის საფუძველზე წარმართვა.

მუხლი 41 – გარანტიები მწყობრიდან გამოსული მოწინააღმდეგე მხარის პირებისთვის

1. აკრძალულია თავდასხმა პირზე, რომელიც მწყობრიდან გამოსულ პირადაა აღიარებული ან მოცემულ მომენტში ასეთად უნდა იქნეს აღიარებული.

2. მწყობრიდან გამოსულად ითვლება პირი, რომელიც:

(ა) მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში იმყოფება;

- (ბ) აშკარად გამოთქვამს ტყვედ ჩაბარების სურვილს; ან
- (გ) უგონოდაა ან დაჭრის თუ ავადმყოფობის მიზეზით რაიმე სხვა სახითაა მწყობრიდან გამოსული, რის გამოც თავის დაცვა არ შეუძლია,

მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში იგი თავს იკავებს მტრული მოქმედებებისაგან და არ ცდილობს გაიქცეს.

3. როდესაც პირები, რომელთაც უფლება აქვთ ისარგებლონ სამხედრო ტყვეებისათვის გათვალისწინებული დაცვით, მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში ხვდებიან ბრძოლის უჩვეულო პირობებში და როცა შეუძლებელია მათი ევაკუაცია მესამე კონვენციის I კარის III ნაწილის თანახმად, ისინი გათავისუფლებიან და სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა იქნება მიღებული მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 42 – საჰაერო ხომალდებში მყოფი პირები

1. არც ერთ პირს, რომელიც პარაშუტით ტოვებს განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდს, მიწაზე დაშვებისას თავს არ დაესხმიან.

2. პირს, რომელიც პარაშუტით ტოვებს განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდს, მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაშვებისას თავდასხმამდე შესთავაზებენ ტყვედ დანებებას, თუკი არ გამოაშკარავდა, რომ იგი მტრული მოქმედების განხორციელებას აპირებს.

3. საჰაერო-სადესანტო ჯარები წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დაცვით არ სარგებლობენ.

ნაწილი II

კომბატანტებისა და სამხედრო ტყვეების სტატუსი

მუხლი 43 – შეიარაღებული ძალები

1. კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალები შედგება ყველა ორგანიზებული შეიარაღებული ძალის, ჯგუფის ან შენაერთისაგან, რომელთა სათავეშიც დგას ამ მხარის წინაშე თავის ქვეშევრდომთა მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირი, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს მხარე წარმოდგენილია მთავრობით ან ხელისუფლებით, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე არ ცნობს. ამგვარი შეიარაღებული ძალები უნდა ემორჩილებოდნენ შიდა დისციპლინურ სისტემას, რომელიც, მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას უზრუნველყოფს.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირები (სამედიცინო პერსონალისა და კაპულანების გამოკლებით, რომელზეც მითითებულია მესამე კონვენციის 33-ე მუხლში) არიან კომბატანტები, ანუ მათ უფლება აქვთ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში.

3. კონფლიქტის მონაწილე მხარე თავის შეიარაღებულ ძალებში გასამხედროებული ან წესრიგის დამცველი სამხედრო ორგანიზაციის ჩართვის ყოველი შემთხვევის შესახებ კონფლიქტის მონაწილე სხვა მხარეებს აცნობებს.

მუხლი 44 – კომბატანტები და სამხედრო ტყვეები

1. 43-ე მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი კომბატანტი მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას სამხედრო ტყვე ხდება.

2. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კომბატანტი ვალდებულია დაიცვას შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები, ამ ნორმათა დარღვევა, მე-3 და მე-4 პარაგრაფებში მითითებული შემთხვევების გამოკლებით, არ ართმევს მას უფლებას ითვლებოდეს კომბატანტად ან მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მოხვედრისას - სამხედრო ტყვედ.

3. შეიარაღებული მოქმედების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ხელშესაწყობად, თავდასხმისას ან თავდასხმის მოსამზადებელ საომარ ოპერაციაში მონაწილეობის დროს კომბატანტებმა უნდა გამოარჩიონ საკუთარი თავი სამოქალაქო მოსახლეობისაგან. თუმცა, როცა საომარი მოქმედებების ხასიათის გამო, კომბატანტის სამოქალაქო პირისაგან გარჩევა ჭირს, ეს პირი კომბატანტის სტატუსს იმ პირობით ინარჩუნებს, რომ ღიად ატარებს იარაღს:

(ა) ყოველი სამხედრო შეტაკებისას, და

(ბ) როცა მოწინააღმდეგის თვალსაწიერის არეალშია თავდასხმის მოსამზადებელი საბრძოლო წყობის გაშლის დროს.

ამ პარაგრაფში მითითებული ქმედებები არ ითვლება ვერაგობად 37-ე მუხლის 1(გ) პარაგრაფის მნიშვნელობით.

4. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილ კომბატანტს, როცა ის მე-3 პარაგრაფის მეორე წინადადებაში მოყვანილ დებულებებს არ ასრულებს, უფლება ერთმევა ითვლებოდეს სამხედრო ტყვედ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სარგებლობს დაცვით, რომელიც მესამე კონვენციითა და წინამდებარე ოქმით სამხედრო ტყვეთათვის გათვალისწინებულ დაცვას ყველა შემთხვევაში უთანაბრდება. ეს დაცვა მოიცავს დაცვას, რომლითაც სამხედრო ტყვეები, მესამე კონვენციის თანახმად, სასამართლოსთვის გადაცემის და ჩადენილი სამართალდარღვევისათვის დასჯის დროს სარგებლობენ.

5. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი ნებისმიერი კომბატანტი, რომელიც მოწინააღმდეგის ხელში ხვდება მაშინ, როცა არ მონაწილეობს თავდასხმაში ან სამხედრო ოპერაციაში, რომელიც თავდასხმისათვის მზადებას წარმოადგენს, მანამდე ჩადენილი ქმედებების გამო არ კარგავს უფლებას ითვლებოდეს კომბატანტად და სამხედრო ტყვედ.

6. ამ მუხლით არ შეილახება ნებისმიერი პირის უფლება ითვლებოდეს სამხედრო ტყვედ მესამე კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად.

7. წინამდებარე მუხლი მიზნად არ ისახავს კონფლიქტის მონაწილე მხარის საფორმო ტანსაცმლით შემოსილი რეგულარული ჯარების შენაერთების შემადგენლობაში შემაჯავალი კომბატანტების მიერ საფორმო ტანსაცმლის ტარების სახელმწიფოთა მიერ საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის შეცვლას.

8. პირველი და მეორე კონვენციების მე-13 მუხლში მითითებული კატეგორიის პირების გარდა, დაჭრის, ავადმყოფობის ან ზღვაში ან სხვა წყლებში ხომალდის დაღუპვაში მოყოლის შემთხვევაში ამ კონვენციების დაცვით სარგებლობის უფლება ექნება კონფლიქტის მონაწილე მხარის წინამდებარე ოქმის 43-ე მუხლით განსაზღვრული შეიარაღებული ძალების შემადგენლობის ყველა წევრს.

მუხლი 45 – საომარ მოქმედებებში მონაწილე პირთა დაცვა

1. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მოხვედრილი სამხედრო მოქმედებაში მონაწილე პირი სამხედრო ტყვედ ითვლება და, შესაბამისად, სარგებლობს მესამე კონვენციის დაცვით, თუ იგი პრეტენზიას აცხადებს სამხედრო ტყვის სტატუსზე, თუ ჩანს, რომ მას უფლება აქვს ფლობდეს ამ სტატუსს ან თუ სახელმწიფო, რომელსაც იგი ეკუთვნის, დამატყვევებელი ან მფარველი სახელმწიფოს შეტყობინების გზით მისთვის ამ სტატუსის მინიჭებას ითხოვს. მოცემული პირის მიერ მითითებული სტატუსის ფლობის და შესაბამისად, მესამე კონვენციის და წინამდებარე ოქმის დაცვით სარგებლობის უფლების თაობაზე ეჭვის აღძვრის შემთხვევაში, იგი ინარჩუნებს ამ სტატუსს და, შესაბამისად, განაგრძობს მესამე კონვენციითა და წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას მანამ, სანამ მისი სტატუსი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ იქნება განსაზღვრული.

2. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილ პირს, რომელიც სამხედრო ტყვის სახით არ არის დაკავებული და რომელიც სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს საომარი მოქმედებების დროს ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო წესით მისთვის სამხედრო ტყვის სტატუსის მინიჭება და აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანა. როცა ეს შესაძლებელი იქნება მოქმედი საპროცესო წესების მიხედვით, გადაწყვეტილება სასამართლოში სამართალდარღვევის თაობაზე საქმის განხილვის დაწყებამდე გამოიტანება. მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ სასამართლოში საქმის განხილვას დაესწრონ, თუკი სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, დახურული სხდომა არ არის გამოცხადებული. ამის შესახებ დამატყვევებელი სახელმწიფო მფარველ სახელმწიფოს სათანადოდ აცნობებს.

3. ნებისმიერ პირს, რომელიც სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდა, რომელსაც არ აქვს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება და მეოთხე კონვენციის შესაბამისად უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობს, ყველა შემთხვევაში აქვს წინამდებარე ოქმის 75-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება. ნებისმიერ ასეთ პირს, თუ ის ჯაშუშობისათვის არ არის დაკავებული, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნისას შეუძლია ისარგებლოს მეოთხე კონვენციის მე-5 მუხლისაგან დამოუკიდებლად ამ კონვენციით მინიჭებული კავშირის დამყარების უფლებით.

მუხლი 46 – ჯაშუშები

1. კონვენციის ან წინამდებარე ოქმის ნებისმიერი სხვა დებულები-

საგან დამოუკიდებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრს, რომელიც ჯაშუშობის დროს ხელში ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება არ გააჩნია და მას როგორც ჯაშუშს, ისე შეიძლება მოეპყრონ.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი, რომელიც ამ მხარის სახელით აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ინფორმაცია მოწინააღმდეგის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, არ ითვლება ჯაშუშად, თუ ამგვარი მოქმედებისას იგი თავისი შეიარაღებული ძალების საფორმო ტანსაცმელს ატარებს.

3. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და ამ ტერიტორიაზე აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს სამხედრო მნიშვნელობის ინფორმაცია იმ მხარის სახელით, რომელსაც ეკუთვნის, არ ითვლება ჯაშუშად, თუ არ მოქმედებს მოტყუებით ან, წინასწარი განზრახვით, საიდუმლო ფარულ მეთოდებს არ მიმართავს. უფრო მეტიც, ამგვარი პირი არ კარგავს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლებას და მას ვერ მოეპყრობიან, როგორც ჯაშუშს, თუ იგი არ არის ჯაშუშობის მომენტში დაკავებული.

4. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობს და ეწევა ჯაშუშობას, არ კარგავს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლებას და მას არ შეიძლება მოეპყრონ როგორც ჯაშუშს, იმ შემთხვევების გარდა, როცა იგი მანამდე დააკავეს, სანამ თავის შეიარაღებულ ძალებს შუერთდებოდა.

მუხლი 47 – დაქირავებულები

1. დაქირავებულს არა აქვს კომბატანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება.

2. დაქირავებული არის ნებისმიერი პირი, რომელიც:

- (ა) ადგილზე ან საზღვარგარეთ, სპეციალურად დაიქირავეს შეიარაღებულ კონფლიქტში საბრძოლველად;
- (ბ) უშუალოდ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში;
- (გ) სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისას უმთავრესად პირადი მოგების სურვილით ხელმძღვანელობს და რომელსაც კონფლიქტის მონაწილე მხარე ან მისი დავალებით სხვა მხარე მართლაც დაპირდნენ მატერიალურ ანაზღაურებას, რომელიც არსებითად აღემატება ამ მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი იმავე რანგისა და ფუნქციების მქონე კომბატანტებისათვის დაპირებულ ან გადახდილ ანაზღაურებას;
- (დ) არ არის კონფლიქტის მონაწილე მხარის მოქალაქე ან კონფლიქტის მონაწილე მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირი;
- (ე) არ შედის კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში; და

(ვ) არ არის გაგზავნილი კონფლიქტის არამონაწილე სახელმწიფოს მიერ ოფიციალური ვალდებულების აღსასრულებლად, როგორც თავისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი.

პარი IV სამოქალაქო მოსახლეობა

ნაწილი I საომარი მოქმედებების შედეგებისგან ზოგადი დაცვა

თავი I ძირითადი ნორმა და გამოქმენების სფერო

მუხლი 48 – ძირითადი ნორმა

კონფლიქტის მონაწილე მხარის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა ყოველთვის უნდა განახსენაონ სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები და, შესაბამისად, თავიანთი მოქმედება მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ წარმართონ.

მუხლი 49 – თავდასხმის განსაზღვრება და გამოყენების სფერო

1. „თავდასხმა“ ნიშნავს მოწინააღმდეგის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ნებისმიერ აქტს, მიუხედავად იმისა, შეტევის დროს ხორციელდება ის თუ თავდაცვისას.

2. წინამდებარე ოქმის დებულებები თავდასხმის შესახებ ყველა თავდასხმის მიმართ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტერიტორიაზე ხორციელდება ის, მათ შორის მოწინააღმდეგის კონტროლს დაქვემდებარებული კონფლიქტის მონაწილე მხარის სახელმწიფო ტერიტორიის ჩათვლით.

3. წინამდებარე ნაწილის დებულებები გამოიყენება ხმელეთზე, ჰაერში ან ზღვაზე მიმდინარე ნებისმიერი საომარი მოქმედების მიმართ, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო მოსახლეობას, ცალკეულ მოქალაქეებს ან ხმელეთზე განლაგებულ სამოქალაქო ობიექტებს ზიანი მიაყენოს. ისინი გამოიყენება ხმელეთზე განლაგებულ ობიექტებზე ზღვიდან ან ჰაერიდან თავდასხმის მიმართაც, მაგრამ არ შეეხება ზღვაზე ან ჰაერში წარმოებული შეიარაღებული მოქმედების დროს მოქმედ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

4. წინამდებარე ნაწილის დებულებები ავსებენ მეოთხე კონვენციით, კერძოდ კი მისი II კართა და მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის სავალდებულო სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ ჰუმანიტარულ დაცვასთან დაკავშირებულ ნორმებს, ასევე სხვა საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც შეეხება ხმელეთზე, ზღვაზე ან საჰაერო სივრცეში მყოფი სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დაცვას საომარი მოქმედებების შედეგებისაგან.

მუხლი 50 – სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო მოსახლეობის განსაზღვრება

1. სამოქალაქო პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც არ ეკუთვნის მესამე კონვენციის მე-4 მუხლის ა (1), (2), (3) და (6) პუნქტებში, აგრეთვე წინამდებარე ოქმის 43-ე მუხლში მითითებულ პირთა კატეგორიებს. ეჭვის არსებობის შემთხვევაში, არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება სამოქალაქო პირი, იგი სამოქალაქო პირად ითვლება.

2. სამოქალაქო მოსახლეობა ყველა სამოქალაქო პირისაგან შედგება.

3. სამოქალაქო მოსახლეობაში იმ ცალკეულ პირთა ყოფნა, რომლებიც სამოქალაქო პირის განსაზღვრებაში არ ხედებიან, არ ცვლის ამ მოსახლეობის სამოქალაქო ხასიათს.

მუხლი 51 – სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა

1. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები სარგებლობენ სამხედრო ოპერაციების შედეგებისაგან ზოგადი დაცვით. ამ დაცვის განსახორციელებლად, საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებთან ერთად, ნებისმიერ გარემოებაში, დაცული იქნება შემდეგი ნორმებიც.

2. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები არ უნდა გახდნენ თავდასხმის ობიექტები. აკრძალულია ძალადობის აქტი ან ძალადობის მუქარა, რომლის ძირითადი მიზანია სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დანერგვა.

3. სამოქალაქო პირები წინამდებარე ნაწილით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობენ გარდა იმ შემთხვევებისა და პერიოდისა, როცა ისინი საომარ მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობენ.

4. აკრძალულია განურჩეველი ხასიათის თავდასხმები. განურჩეველ თავდასხმებს ეკუთვნის:

(ა) თავდასხმები, რომელიც არ არის მიმართული კონკრეტული სამხედრო ობიექტის წინააღმდეგ;

(ბ) თავდასხმები, რომელთა დროსაც საომარი მოქმედებების წარმართვის ისეთი მეთოდები და საშუალებები გამოიყენება, რომელთა გამოყენება კონკრეტული სამხედრო ობიექტის წინააღმდეგ დაუშვებელია; ან

(გ) თავდასხმები, რომელთა დროს საომარი მოქმედებების წარმართვის ისეთი მეთოდები და საშუალებები გამოიყენება, რომელთა შედეგების შეზღუდვა წინამდებარე ოქმის შესაბამისად შეუძლებელია;

და რომელიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველ ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო მოსახლეობას განურჩევლად აზიანებს.

5. სხვა განურჩეველი თავდასხმების რიცხვში ჩაითვლება:

(ა) თავდასხმა დაბომბვის ნებისმიერი მეთოდის ან საშუალების გამოყენებით, რომლის დროსაც ერთიან სამხედრო ობიექტად ით-

ვლება მთელი რიგი ერთმანეთისაგან განცალკევებული და განსხვავებული სამხედრო ობიექტები, რომლებიც განლაგებულია ქალაქად, სოფლად ან სხვა რაიონში, სადაც ასევე კონცენტრირებულია სამოქალაქო მოსახლეობა ან სამოქალაქო ობიექტები; და (ბ) თავდასხმა, რომლის შედეგადაც სავარაუდოა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა დაჭრა ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება ან ორივე ერთად, რაც აღემატება მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას.

6. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე თავდასხმა რეპრესალიების სახით.

7. სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების ყოფნა ან გადაადგილება არ უნდა იყოს გამოყენებული გარკვეული რაიონების ან პუნქტების საომარი მოქმედებებისაგან დასაცავად, კერძოდ, სამხედრო ობიექტების თავდასხმისაგან დაცვის ან საომარი მოქმედებების შენიღბვის, მათი ხელშეწყობის ან შეფერხების მიზნით. კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების გადაადგილება არ უნდა წარმართონ თავდასხმებისაგან სამხედრო ობიექტების დაცვის ან დაფარვის მიზნით.

8. ამ აკრძალვების ნებისმიერი დარღვევა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს არ ათავისუფლებს სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო პირების მიმართ სამართლებრივი ვალდებულებებისაგან, 57-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების ჩათვლით.

თავი III სამოქალაქო ობიექტები

მუხლი 52 – სამოქალაქო ობიექტების ზოგადი დაცვა

1. სამოქალაქო ობიექტი არ უნდა იყოს თავდასხმის ან რეპრესალიის ობიექტი. სამოქალაქო ყველა ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ სამხედრო ობიექტს.

2. თავდასხმა მკაცრად უნდა შემოიფარგლოს სამხედრო ობიექტებით. სამხედრო ობიექტი, რომელსაც თავისი ხასიათის, განლაგების, დანიშნულების ან გამოყენების თვალსაზრისით ეფექტური წვლილი შეაქვს საომარ მოქმედებებში და რომლის სრული ან ნაწილობრივი განადგურება, დაკავება ან ნეიტრალიზება მოცემულ გარემოებებში საომარ უპირატესობას იძლევა.

3. როცა არსებობს ეჭვი, ხომ არ გამოიყენება სამოქალაქო ობიექტები, მაგალითად, ღვთისმსახურების ადგილები, საცხოვრებელი სახლი ან სხვა საცხოვრებელი ნაგებობები, სკოლა საომარი მოქმედებების ეფექტური მხარდაჭერისათვის, ითვლება, რომ ისინი მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოიყენება.

მუხლი 53 – კულტურული ფასეულობებისა და ღვთისმსახურების ადგილების დაცვა

შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის შესახებ ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენციისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, აკრძალულია:

- (ა) მტრული მოქმედების განხორციელება იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან ღვთისმსახურების ადგილების მიმართ, რომელიც ხალხთა კულტურულ ან სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს;
- (ბ) ამგვარი ობიექტების გამოყენება სამხედრო მოქმედებათა მხარდასაჭერად;
- (გ) რეპრესალიების წარმოება ამგვარი ობიექტების მიმართ.

მუხლი 54 – სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა

1. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის დამშევის, როგორც ომის წარმოების მეთოდის გამოყენება.

2. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ აუცილებელი ობიექტების – საკვების მარაგის, სურსათის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო რაიონების, ნათესების, საქონლის, სასმელი წყლის მოსამარეგებელი ნაგებობებისა და სასმელი წყლის მარაგის, საირიგაციო ნაგებობების განადგურება, გატანა, მწყობრიდან გამოყვანა, მათზე თავდასხმა იმ განზრახვით, რომ სამოქალაქო მოსახლეობამ ან მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლოს მათი, როგორც საარსებო საშუალებების გამოყენება, განურჩევლად იმისა, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად ამგვარ მოქმედებას – სამოქალაქო მოსახლეობის დამშევა, მათი იძულებითი გადასახლება თუ რაიმე სხვა.

3. მეორე პარაგრაფში მითითებული აკრძალვები არ ეხება ამ პარაგრაფში ნახსენებ იმ ობიექტებს, რომელთაც მოწინააღმდეგე მხარე იყენებს:

(ა) მხოლოდ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის არსებობის შენარჩუნებისათვის, ან

(ბ) თუ არსებობის შენარჩუნებისთვის არა, საომარი მოქმედებების პირდაპირი მხარდაჭერის მიზნით მაინც, იმ პირობით, რომ ამ ობიექტების წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩადენილი ისეთი მოქმედებები, რამაც შეიძლება სამოქალაქო მოსახლეობაში სურსათის ან წყლის უკმარისობა, შიმშილობა ან იძულებითი გადასახლება გამოიწვიოს.

4. დაუშვებელია ამ ობიექტთა რეპრესალიების მიზნად ქცევა.

5. აღიარებულია რა კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერი მხარის საარსებო აუცილებლობად თავისი ეროვნული ტერიტორიის დაცვა მტრის შემოჭრისაგან, დაშვებულია მე-2 პარაგრაფში მითითებული აკრძალვების დარღვევა მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, როცა ამას იმპერატიული სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს.

მუხლი 55 – ბუნებრივი გარემოს დაცვა

1. საომარი მოქმედებების დროს ბუნებრივი გარემო დაცული უნდა იყოს ფართო, მასშტაბური, ხანგრძლივი და სერიოზული დაზიანებისა-

გან. ამგვარი დაცვა მოიცავს ომის წარმოების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების აკრძალვას, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელთაგან მოსალოდნელია ამგვარი ზიანის მიყენება ბუნებრივი გარემოსათვის და საფრთხის შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და არსებობისათვის.

2. აკრძალულია ბუნებრივი გარემოსათვის რეპრესალიების გზით ზიანის მიყენება.

მუხლი 56 – სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების დაცვა

1. სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, კერძოდ კაშხლები, დამბები და ატომური ელექტროსადგურები არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი, მაშინაც კი, როცა ისინი სამხედრო ობიექტებს წარმოადგენს, თუკი თავდასხმა გამოიწვევს სახიფათო ძალების გამოთავისუფლებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვან მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში. თავდასხმის ობიექტი არ უნდა გახდეს ამ დანადგარებსა ან ობიექტებში, ან მათ მახლობლად განლაგებული სამხედრო ობიექტები, თუ ამგვარ თავდასხმას შეიძლება მოჰყვეს დანადგარებიდან ან ნაგებობებიდან სახიფათო ძალების გამოთავისუფლება და, შესაბამისად, თანმდევი მნიშვნელოვანი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

2. თავდასხმებისაგან პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვა წყდება:

(ა) კაშხლებისა და დამბების მიმართ, როცა მათ ნორმალური ფუნქციონირებისაგან განსხვავებული სახით და საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის იყენებენ და თუ თავდასხმა ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა;

(ბ) ატომური ელექტროსადგურების მიმართ, თუ ისინი ელექტროენერგიას საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის გამოიმუშავენ და თუ თავდასხმა ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა;

(გ) ამ დანადგარებში ან ნაგებობებში, ან მათ მახლობლად განლაგებული სხვა სამხედრო ობიექტების მიმართ, თუ ისინი საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის გამოიყენება და თუ თავდასხმა ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა.

3. ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები განაგრძობენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სრული დაცვის უფლებით სარგებლობას, 57-ე მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებების მიღების გზით დაცვის ჩათვლით. თუ დაცვა წყდება ან პირველ პარაგრაფში მითითებულ რომელიმე დანადგარს, ნაგებობას ან სამხედრო ობიექტს თავს ესხმიან, მაშინ მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა პრაქტიკული

ღონისძიება სახიფათო ძალების გამოთავისუფლების თავიდან ასაცილებლად.

4. აკრძალულია პირველ პარაგრაფში მითითებული რომელიმე დანადგარის, ნაგებობის ან სამხედრო ობიექტის რეპრესალიების ობიექტად გადაქცევა.

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა ცდილობდნენ, რომ თავიდან აიცილონ პირველ პარაგრაფში მითითებული დანადგარების ან ნაგებობების მახლობლად რაიმე სამხედრო ობიექტის განლაგება. თუმცა, დაშვებულია ისეთი ნაგებობების აგება, რომელთა ერთადერთ მიზანს დაცვის ქვეშ მყოფი დანადგარების ან ნაგებობების დაცვა წარმოადგენს. თავის მხრივ, ასეთი ნაგებობებიც არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი იმ პირობით, რომ მათ არ იყენებენ საომარი მოქმედებების წარმოებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს დაცვის ქვეშ მყოფი დანადგარების ან ნაგებობების თავდაცვისათვის აუცილებელი მოქმედებები და მათი შეიარაღების ისეთი იარაღით შეზღუდვა, რომელსაც მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფ დანადგარებზე ან ნაგებობებზე თავდასხმის მოგერიება შეუძლია.

6. მაღალ ხელშემკვრელ და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს სახიფათო ძალის შემცველი ობიექტების დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად მოუწოდებენ ამ მიზნის მქონე სხვა შეთანხმებათა დადებას.

7. წინამდებარე მუხლით დაცული ობიექტების ამოცნობის გასაადვილებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მათი აღნიშვნა სპეციალური ნიშნით – ერთ ღერძზე განლაგებული სამი ღია ნარინჯისფერი წრის ჯგუფით, როგორც ეს წინამდებარე ოქმის I დანართის მე-16 მუხლშია მითითებული. ამგვარი ნიშნის არქონა არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს წინამდებარე მუხლით დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

თავი IV სივრთხილის ღონისძიებები

მუხლი 57 – სივრთხილის ღონისძიებები თავდასხმის დროს

1. საომარი მოქმედებების წარმოებისას მხარეებმა მუდმივად უნდა იზრუნონ სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დასაზღვრებად.

2. თავდასხმებთან მიმართებაში მიღებული უნდა იყოს უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებები:

(ა) პირი, რომელიც თავდასხმას გეგმავს ან მისი განხორციელების გადაწყვეტილებას იღებს:

(i) ყველაფერს აკეთებს პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა დარწმუნდეს, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის არც სამოქალაქო პირი, არც სამოქალაქო ან განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტი, არამედ 52-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მნიშვნელობით სამხედრო ობიექტია

და რომ წინამდებარე ოქმის დებულებების შესაბამისად, მასზე თავდასხმა არ არის აკრძალული;

(ii) თავდასხმის განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას უსაფრთხოების ყველა პრაქტიკულად შესაძლებელ ზომას იღებს, რათა თავიდან აიცილოს შემთხვევითი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა შემთხვევითი დაჭრა და სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება და, ნებისმიერ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანოს ასეთი ფაქტები;

(iii) თავს იკავებს თავდასხმის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისაგან, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში და სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაჭრას, სამოქალაქო ობიექტების შემთხვევით დაზიანებას ან ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება ნავარაუდებ კონკრეტულ და უშუალო საომარ უპირატესობას;

(ბ) თავდასხმა უქმდება ან ჩერდება, თუ გაირკვა, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის სამხედრო, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს ან თუ მოსალოდნელია, რომ თავდასხმა გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს და დაჭრას სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო ობიექტების შემთხვევით დაზიანებას ან ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება ნავარაუდებ კონკრეტულ და უშუალო საომარ უპირატესობას;

(გ) ისეთი მოსალოდნელი თავდასხმების შესახებ, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობას შეიძლება შეეხო, წინასწარი ქმედითი გაფრთხილება უნდა გაკეთდეს, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა გარემოება არ ქმნის ამის შესაძლებლობას.

3. როცა თანაბარი სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის რამდენიმე სამხედრო ობიექტს შორის არჩევანია შესაძლებელი, არჩევანი იმ ობიექტზე უნდა შეჩერდეს, რომელზე თავდასხმაც სამოქალაქო პირებსა და ობიექტებს მინიმალურ საფრთხეს შეუქმნის.

4. ზღვაზე ან ჰაერში საომარი ოპერაციების წარმოებისას კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე, შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული თავისი უფლებებისა და ვალდებულებების თანახმად, გაატარებს უსაფრთხოების ყველა გონივრულ ღონისძიებას, რათა თავიდან აიცილოს სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება.

5. წინამდებარე მუხლის არც ერთი დებულება ისე არ უნდა განიმარტოს, თითქოს ის ნებას რთავდეს სამოქალაქო მოსახლეობაზე, სამოქალაქო პირებსა ან ობიექტებზე ნებისმიერი სახის თავდასხმას.

მუხლი 58 – სიფრთხილის ღონისძიებები თავდასხმის შედეგების წინააღმდეგ

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, მაქსიმალური პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში:

(ა) შეეცდებიან მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად გაიყვანონ სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირები და მათ კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო ობიექტები სამხედრო ობიექტების მახლობლად განლაგებული რაიონებიდან;

(ბ) თავს აარიდებენ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ან მათ მახლობლად სამხედრო ობიექტების განლაგებას;

(გ) მიიღებენ უსაფრთხოების ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რათა საომარი ოპერაციების შედეგად გამოწვეული საფრთხისაგან დაიცვან მათ კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირები და ობიექტები.

თავი V

განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილები და ზონები

მუხლი 59 – დაუცველი ადგილები

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკრძალებათ დაუცველ ობიექტებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარის შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს დაუცველ ადგილად შეუძლიათ გამოაცხადონ ნებისმიერი სამოქალაქო პუნქტი, რომელიც შეიარაღებული ძალების ურთიერთშეხების ზონაში ან მის ახლოსაა და ღიაა მოწინააღმდეგის ოკუპაციისათვის. ასეთი ადგილი შემდეგ პირობებს უნდა პასუხობდეს:

(ა) ევაკუირებული უნდა იყოს ყველა კომბატანტი, ისევე როგორც მობილური შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა;

(ბ) მტრული მიზნებისათვის არ უნდა გამოიყენებოდეს სტაციონარული სამხედრო დანადგარები ან აღჭურვილობა;

(გ) არც ხელისუფლებამ და არც მოსახლეობამ არ უნდა ჩაიღიწოს მტრული მოქმედებები; და

(დ) არ უნდა ხორციელდებოდეს სამხედრო ოპერაციის მხარდამჭერი ღონისძიებები.

3. ამ ადგილას კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირების ყოფნა, ასევე საპოლიციო ძალების ყოფნა არ ეწინააღმდეგება მე-2 პარაგრაფში ჩამოთვლილ პირობებს.

4. მე-2 პარაგრაფში გათვალისწინებული განცხადება მოწინააღმდეგის მისამართით კეთდება და მასში რაც შეიძლება ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და აღწერილი დაუცველი ადგილების ფარგლები. კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფო, რომლის სახელზეც ეს განცხადება კეთდება, ადასტურებს მის მიღებას და აღნიშნულ ადგილებს ეპყრობა, როგორც დაუცველს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ფაქტობრივად არ სრულდება მე-2 პარაგრაფში მითითებული პირობები. ასეთ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელ მხარეს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაცული არ არის მე-2 პარაგრაფის დებულებები, ასეთი ადგილი განაგრძობს წინამდებარე ოქმის

სხვა დებულებებითა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას.

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ რომელიმე ადგილის დაუცველად გამოცხადების შესახებ შეთანხმება მიუხედავად იმისა, პასუხობს თუ არა ის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება ზუსტად უნდა განისაზღვროს და აღიწეროს აღნიშნული ადგილის საზღვრები; აუცილებლობის შემთხვევაში შეთანხმებით შესაძლებელია ზედამხედველობის საშუალებათა აღწერაც.

6. მხარე, რომელიც ამგვარი შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილს აკონტროლებს, მას შეძლებისამებრ ისეთი ნიშნებით აღნიშნავს, რომელზეც შეიძლება მეორე მხარესთან შეთანხმებულიყო. ასეთი ნიშნები თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსონ, განსაკუთრებით კი ამ ადგილის პერიმეტრზე, საზღვრებზე და გზატკეცილებზე.

7. დაუცველი ადგილი კარგავს დაუცველი ადგილის სტატუსს, როცა აღარ პასუხობს მე-2 პარაგრაფის ან მე-5 პარაგრაფში ნახსენები შეთანხმების პირობებს. ასეთ შემთხვევაში ეს ადგილი აგრძელებს წინამდებარე ოქმის სხვა დებულებებითა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას.

მუხლი 60 – დემილიტარიზებული ზონები

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკრძალებათ საომარი მოქმედებების წარმოება ტერიტორიაზე, რომელიც მათ შორის შეთანხმებით დემილიტარიზებულ ზონად არის აღიარებული, თუკი ასეთი რამ ამგვარი შეთანხმების პირობებს ეწინააღმდეგება.

2. ასეთი შეთანხმება ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, უშუალოდ, მფარველი სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა მიუკერძოებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით, და შეიძლება შეიცავდეს ორმხრივ და ურთიერთშეთანხმებულ განცხადებებს. ასეთი შეთანხმებების დადება შესაძლებელია როგორც მშვიდობიან დროს, ისე საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომაც. შეთანხმებით რაც შეიძლება ზუსტად უნდა განისაზღვროს და აღიწეროს დემილიტარიზებული ზონის ფარგლები და, აუცილებლობის შემთხვევაში, დადგინდეს კონტროლის მეთოდები.

3. ამგვარი შეთანხმების საგანი, ჩვეულებრივ, არის ნებისმიერი ზონა, რომელიც შემდეგ პირობებს პასუხობს:

(ა) ევაკუირებული უნდა იყოს ყველა კომბატანტი, ისევე როგორც მობილური შეიარაღება და საბრძოლო აღჭურვილობა;

(ბ) სტაციონარული სამხედრო დანადგარები და ნაგებობანი არ უნდა გამოიყენებოდეს მტრული მიზნებისათვის;

(გ) არც ხელისუფლებამ და არც მოსახლეობამ არ უნდა ჩაიდინოს მტრული მოქმედებები; და

(დ) უნდა შეწყდეს სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან, თუ როგორ უნდა განიმარტოს (დ) ქვე-პუნქტის პირობები, აგრეთვე იმ პირების შესახებ, რომლებიც უნდა დაუშვან დემილიტარიზებულ ზონაში, გარდა მე-4 პარაგრაფში მითითებული პირობებისა.

4. ასეთ ზონაში კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირების, ასევე საპოლიციო ძალების ყოფნა, რომელთა აქ დატოვების ერთადერთ მიზანს კანონიერებისა და წესრიგის დაცვა წარმოადგენს, მე-3 პარაგრაფში ჩამოთვლილ პირობებს არ ეწინააღმდეგება.

5. მხარე, რომელიც ასეთ ზონას აკონტროლებს, მას შეძლებისამებრ ისეთი ნიშნებით აღნიშნავს, რომელზეც შეიძლება მეორე მხარესთან შეთანხმებულიყო. ასეთი ნიშნები თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსონ, განსაკუთრებით კი ზონის პერიმეტრზე, საზღვრებსა და გზატკეცილებზე.

6. თუ საომარი მოქმედებები დემილიტარიზებულ ზონას უახლოვდება და კონფლიქტში მონაწილე მხარეები ამაზე არ შეთანხმებულან, ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული მიზნებისათვის ზონის გამოყენებას ან ამ ზონების სტატუსის ცალმხრივად გაუქმებას.

7. თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არსებითად დაარღვევს მე-3 ან მე-6 პარაგრაფების დებულებებს, მეორე მხარე თავისუფლდება ამ ზონისათვის დემილიტარიზებული სტატუსის მიმნიჭებელი შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებებისაგან. ასეთ შემთხვევაში, ზონა კარგავს თავის სტატუსს, მაგრამ აგრძელებს წინამდებარე ოქმის სხვა დებულებებითა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას.

თავი VI

სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 61 – განსაზღვრებები და გამოყენების სფერო

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის:

(ა) „სამოქალაქო თავდაცვა“ არის ზოგიერთი ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ჰუმანიტარული ამოცანის შესრულება, რომელთა მიზანია სამოქალაქო მოსახლეობის საფრთხისგან დაცვა და საომარი მოქმედებების ან უბედურების უშუალო შედეგების აღმოფხვრაში მისი დახმარება, ასევე აუცილებელი პირობების შექმნა სამოქალაქო მოსახლეობის გადასარჩენად. ეს ამოცანებია:

- (i) შეტყობინება;
- (ii) ევაკუაცია;
- (iii) თავშესაფრების მიცემა და მოწყობა;
- (iv) შექმნილბვის ღონისძიებების წარმართვა;
- (v) სამაშველო ღონისძიებები;

- (vi) სამედიცინო მომსახურება, მათ შორის გადაუდებელი და სასულიერო დახმარება;
- (vii) ხანძართან ბრძოლა;
- (viii) სახიფათო რაიონების აღმოჩენა და აღნიშვნა;
- (ix) გაუსწებოვნება და დაცვის მსგავსი ღონისძიებების განხორციელება;
- (x) საგანგებო ვითარებაში თავშესაფრითა და მარაგებით უზრუნველყოფა;
- (xi) უბედურების რაიონში აღდგენითი სამუშაოების წარმართვასა და წესრიგის შენარჩუნებაში საგანგებო დახმარების გაწევა;
- (xii) აუცილებელ კომუნალურ სამსახურთა სწრაფად აღდგენა;
- (xiii) ცხედართა სასწრაფოდ დაკრძალვა;
- (xiv) საარსებოდ აუცილებელი ობიექტების დაცვაში დახმარების გაწევა;
- (xv) ნებისმიერი ზემოაღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელი დამატებითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება დაგეგმარებითა და ორგანიზაციით;
- (ბ) „სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები“ აღნიშნავს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზებულ ერთეულებს, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერაა შექმნილი ან უფლებამოსილი (ა) ქვე-პუნქტში მითითებული ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად და რომლებიც მხოლოდ ამ მიზნით გამოიყენება;
- (გ) სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების „პერსონალი“ აღნიშნავს კონფლიქტში მონაწილე მხარის მიერ მხოლოდ (ა) ქვე-პუნქტში მითითებული ამოცანების შესასრულებლად დანიშნულ პირებს, კონფლიქტის მონაწილე მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ ამგვარი ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის დანიშნული პირების ჩათვლით;
- (დ) სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების „ქონება“ აღნიშნავს ამ ორგანიზაციის მიერ (ა) ქვე-პუნქტში მითითებული ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულ აღჭურვილობას, მასალასა და სატრანსპორტო საშუალებებს.

მუხლი 62 – ზოგადი დაცვა

1. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და მათი პერსონალი წინამდებარე ოქმის, განსაკუთრებით კი წინამდებარე ნაწილის დებულებათა შესაბამისად, პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ. უკიდურესი საომარი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, ისინი უფლებამოსილნი არიან სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული მათთვის დაკისრებული ამოცანები შეასრულონ.

2. პირველი პარაგრაფის დებულებები გამოიყენება იმ სამოქალაქო პირების მიმართაც, რომლებიც, მართალია, არ არიან სამოქალაქო თავ-

დაცვის სამოქალაქო ორგანიზაციის წევრები, მაგრამ კომპეტენტური ხელისუფლების მოწოდებით და მისი კონტროლის ქვეშ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს ასორციელებენ.

3. 52-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება სამოქალაქო თავდაცვისათვის გამოყენებულ შენობებსა და ქონებაზე, ასევე სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილ თავშესაფრებზე. სამოქალაქო თავდაცვისათვის გამოყენებული ობიექტების განადგურება ან არადანიშნულეობისამებრ გამოყენება მხოლოდ იმ მხარეს შეუძლია, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

მუხლი 63 – სამოქალაქო თავდაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები ხელისუფლებისგან მათი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ხელშეწყობას მიიღებენ. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია პერსონალის იძულება შეასრულოს სამუშაო, რომელსაც მის მიერ ამ ამოცანათა ჯეროვანი შესრულების შეფერხება შეუძლია. ოკუპანტმა სახელმწიფომ ამ ორგანიზაციათა სტრუქტურაში ან პერსონალში არ უნდა შეიტანოს რაიმე ცვლილება, რომელსაც მათი მისიის ეფექტური განხორციელებისათვის საფრთხის შექმნა შეუძლია. ამ ორგანიზაციებს არ უნდა მოსთხოვონ აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეებისა და მათი ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

2. ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა აიძულოს ან წააქეზოს სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები იმგვარად შეასრულონ თავიანთი ამოცანები, რომ ამან დამღუპველი გავლენა მოახდინოს სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებზე.

3. ოკუპანტ სახელმწიფოს, უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის განიარაღება შეუძლია.

4. ოკუპანტმა სახელმწიფომ თავდაცვის ორგანიზაციებს არ უნდა შეუცვალოს მათი პირდაპირი დანიშნულება და არ უნდა მოახდინოს მათი კუთვნილი ან მათ მიერ გამოყენებული შენობების ან ქონების რეკვიზიცია, თუკი ეს სამოქალაქო მოსახლეობას დააზიანებს.

5. იმ პირობით, რომ დაცული იქნება მე-4 პარაგრაფის ზოგადი დებულება, ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ამ რესურსების რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა შემდეგი კონკრეტული პირობების არსებობისას:

(ა) თუ ეს შენობები ან ქონება სამოქალაქო მოსახლეობის სხვა საჭიროებებისათვისაა აუცილებელი; და

(ბ) თუ რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა გრძელდება მანამ, სანამ ასეთი აუცილებლობა არსებობს.

6. ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს მოსახლეობის მიერ გამოყენებული ან მისთვის აუცილებელი თავშესაფრების არც რეკვიზიცია, არც დანიშნულების შეცვლა.

მუხლი 64 – ნეიტრალური ან კონფლიქტში არამონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო მაკოორდინირებული ორგანიზაციები

1. 62-ე, 63-ე, 65-ე და 66-ე მუხლების დებულებები გამოიყენება ნეიტრალური ან კონფლიქტის არამონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების პერსონალისა და ქონების მიმართ, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მისი თანხმობით და კონტროლით 61-ე მუხლში მითითებულ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს ასრულებს. ნებისმიერ დაინტერესებულ მოწინააღმდეგე მხარეს, შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში აცნობებენ ამგვარი დახმარების გაწევის შესახებ. ეს საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება კონფლიქტში ჩარევად. თუმცა, ამასთანავე, ეს საქმიანობა დაინტერესებული მხარეების უშიშროების ინტერესების სათანადო გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარეები, რომლებიც პირველ პარაგრაფში მითითებულ დახმარებას იღებენ, და ამგვარი დახმარების გამწვევი მაღალი ხელშემკერული მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში ვალდებული არიან ხელი შეუწყონ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ამგვარი საქმიანობის საერთაშორისო კოორდინაციას. ასეთ შემთხვევებში შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებზე წინამდებარე თავის დებულებები ვრცელდება.

3. ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალოს ან შეზღუდოს ნეიტრალური ან კონფლიქტში არამონაწილე სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების მოღვაწეობა იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების სათანადო შესრულება საკუთარი სახსრებით ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებით უზრუნველყოს.

მუხლი 65 – დაცვის შეწყვეტა

1. დაცვა, რომლითაც სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები, მათი პერსონალი, შენობები, თავშესაფრები და ქონება სარგებლობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, როცა ისინი, მათი უშუალო ამოცანების გარდა, მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებებს ჩადიან ან როდესაც მათ ამგვარი მოქმედებებისათვის იყენებენ. თუმცა, ამავე დროს, დაცვა მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ წყდება, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში გონივრულ ვადას ადგენს და მას შემდეგ, რაც ეს გაფრთხილება მხედველობაში არ იყო მიღებული.

2. მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად არ ჩაითვლება შემდეგი:

- (ა) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა განხორციელება სამხედრო ხელისუფლების ხელმძღვანელობითა და კონტროლით;
- (ბ) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის სამხედრო პირებთან თანამშრომლობა ან სამოქალაქო თავდაცვის ან სამო-

ქალაქო ორგანიზაციებში გარკვეული რაოდენობის სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობა;

(გ) ის გარემოება, რომ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა შესრულებას, იმავდროულად, სარგებლობის მოტანა შეუძლია მსხვერპლთათვის სამხედრო მოსამსახურეთა წრიდან, კერძოდ მათთვის, ვინც მწყობრიდან არის გამოსული.

3. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის მიერ წესრიგის დაცვის ან თავდაცვის მიზნით პირადი მსუბუქი იარაღის ტარება არ ითვლება მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებად. თუმცა, ხმელეთის იმ რაიონში, სადაც მიმდინარეობს ან დაიწყება ბრძოლები, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის კომბატანტებისაგან გარჩევის გასაადვილებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარეები აუცილებელ ზომებს მიიღებენ, რათა მათი პირადი იარაღი შემოიფარგლებოდეს ისეთი ცეცხლსასროლი იარაღით, როგორიცაა პისტოლეტი ან რევოლვერი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ადგილებში სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალმა შეიძლება სხვა სახის მსუბუქი იარაღიც ატაროს, იგი პატივისცემითა და დაცვით ისარგებლებს, როგორც კი მას სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალად ამოიცნობენ.

4. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების სამხედრო ყაიდაზე ფორმირება და მათში იძულებითი სამსახური ამ ორგანიზაციებს არ ართმევს წინამდებარე თავით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლებას.

მუხლი 66 – ამოცნობა

1. კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ცდილობს მიიღოს ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მისი სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების, მათი პერსონალის, შენობებისა და ქონების ამოცნობას, როცა ისინი მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებისთვისაა განკუთვნილი. ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილი თავშესაფრების ამოცნობა.

2. კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ასევე ცდილობს მიიღოს და გამოიყენოს მეთოდები და პროცედურები, რომლებიც სამოქალაქო თავშესაფრების, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის, შენობებისა და ქონების ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა. მათზე სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი უნდა გამოისახოს.

3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე და იმ რაიონებში, სადაც მიმდინარეობს ან შეიძლება დაიწყოს ბრძოლები, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალი საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნითა და მისი სტატუსის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით ამოიცნობა.

4. სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანია ნარინჯისფერ ფონზე გამოსახული ტოლგვერდა ღურჯი სამკუთხედი, როცა ის სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების, პერსონალის, შენობებისა და ქონების, ასევე სამოქალაქო თავშესაფრ-

ბის დასაცავად გამოიყენება.

5. სამოქალაქო თავდაცვის ამოცნობის მიზნებისათვის, კონფლიქტის მონაწილე მხარეები განმასხვავებელი ნიშნების გარდა განმასხვავებელი სასიგნალო ნიშნების გამოყენებაზეც შეიძლება შეთანხმდნენ.

6. 1-4 პარაგრაფების დებულებათა გამოყენების რეგლამენტირება წინამდებარე ოქმის I დანართის V თავით ხორციელდება.

7. სამოქალაქო თავდაცვის ამოცნობის მიზნებისათვის, კომპეტენტური სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობით, შესაძლებელია მე-4 პარაგრაფში მითითებული განმასხვავებელი ნიშნებით სარგებლობა მშვიდობიან დროს.

8. მაღალი ხელშემკვრელი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები იღებენ სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნის გამოყენებისადმი კონტროლისა და მისი ბოროტად გამოყენების აღკვეთის ან თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს.

9. სამოქალაქო თავდაცვის სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობის რეგლამენტირება ასევე მე-18 მუხლით ხორციელდება.

მუხლი 67 – სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში განწესებული შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო შენაერთების პირადი შემადგენლობა

1. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში განწესებული სამხედრო შენაერთები და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ იმ პირობით, რომ:

(ა) ისინი მუდმივად არიან განწესებული და მხოლოდ 61-ე მუხლში მითითებულ რომელიმე ამოცანას ასრულებენ;

(ბ) ამგვარად განწესებული პირადი შემადგენლობა კონფლიქტის დროს არ ასრულებს რაიმე სხვა სამხედრო მოვალეობას;

(გ) ასეთი პირადი შემადგენლობა თვალსაჩინო ადგილას ატარებს რაც შეიძლება დიდ საერთაშორისო განმასხვავებელ ნიშანს, რითაც მკაფიოდ გამოირჩევა შეიარაღებულ ძალებში შემავალი სხვა პირებისგან და რაც, ამასთანავე, უზრუნველყოფილია მისი სტატუსის დამადასტურებელი წინამდებარე ოქმის I დანართის V თავში აღნიშნული პირადობის მოწმობით;

(დ) ასეთი პირადი შემადგენლობა და შენაერთები წესრიგის დაცვისა და თავდაცვის მიზნით მხოლოდ მსუბუქი იარაღით არიან შეიარაღებული. ამ შემთხვევაში ასევე გამოიყენება 65-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის დებულებები;

(ე) ამგვარი პირადი შემადგენლობა უშუალოდ არ მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულების გარდა არ ახორციელებს მოწინააღმდეგისთვის საზიანო მოქმედებებს ან არ გამოიყენება ასეთი მოქმედებების ჩასადენად;

(ვ) ამგვარი პირადი შემადგენლობა და სამხედრო შენაერთები სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციებს მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში ასრულებენ.

აკრძალულია (ე) ქვე-პუნქტში მითითებული დებულებების შეუსრულებლობა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც (ა) და (ბ) ქვე-პუნქტებში მითითებული პირობებითაა შეზღუდული.

2. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებში მომსახურე პირები მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას სამხედრო ტყვეები ხდებიან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებისათვის გამოყენება, ოღონდ მხოლოდ ამ ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებისათვის და იმ პირობით, რომ თუ შესასრულებელი სამუშაო სახიფათოა, მის შესრულებაზე ისინი ნებაყოფლობით დათანხმდებიან.

3. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციაში განწესებული სამხედრო შენაერთების შენობები, მსხვილი აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები მკაფიოდ უნდა აღინიშნოს სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნით. განმასხვავებელი ნიშანი შესაძლებლობების ფარგლებში რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს.

4. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში მუდმივად განწესებული სამხედრო შენაერთების ქონება და შენობები, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლადაა განკუთვნილი, მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას კვლავაც ომის კანონების დაქვემდებარებაში რჩებიან. დაუშვებელია მათი სხვა მიზნებისათვის გამოყენება, სანამ ისინი საჭიროა სამოქალაქო ამოცანათა შესასრულებლად. გამონაკლისს წარმოადგენს უკიდურესი სამხედრო აუცილებლობის შემთხვევები, იმ პირობით, რომ სამოქალაქო მოსახლეობის სათანადო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ზომები წინასწარ იყო მიღებული.

ნაწილი II

სამოქალაქო მოსახლეობის დაცვარება

მუხლი 68 – გამოყენების სფერო

წინამდებარე ნაწილის დებულებები წინამდებარე ოქმით განსაზღვრული სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ გამოიყენება და 23-ე, 55-ე, 59-ე, 60-ე, 61-ე და 62-ე მუხლებისა და მეოთხე კონვენციის სხვა შესაბამისი დებულებების დამატებას წარმოადგენს.

მუხლი 69 – ძირითადი მოთხოვნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. მეოთხე კონვენციის 55-ე მუხლში მითითებული ვალდებულებების გარდა, რომელიც სურსათითა და მედიკამენტებით მომარაგებას შეეხება, ოკუპანტი სახელმწიფო მის ხელთ არსებული საშუალებების მაქსიმალურად გამოყენების გზით და ყოველგვარი არაკეთილსასურველი გასხვავების გარეშე, უზრუნველყოფს ტანისამოსს, საძილე მოწყობილობების, თავშესაფრის საშუალებებისა და ოკუპირებული ტერიტორიის

სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა მარაგის, ასევე რელიგიური მსახურების ჩატარებისათვის აუცილებელი ნივთების მიწოდებას.

2. ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები მეოთხე კონვენციის 59-ე, მე-60, 61-ე, 62-ე, 108-ე, 109-ე, 110-ე და 111-ე მუხლებითა და წინამდებარე ოქმის 71-ე მუხლით რეგულირდება და დაუყოვნებლივ ხორციელდება.

მუხლი 70 – დახმარების ოპერაციები

1. როცა კონფლიქტის მონაწილე მხარის კონტროლს დაქვემდებარებული, მაგრამ არაოკუპირებული რომელიმე ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობა 69-ე მუხლში მითითებული საშუალებებით არასაკმარისად მარაგდება, ამგვარი დახმარების ოპერაციებით დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმებათა და ყოველგვარი არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე ტარდება ჰუმანიტარული და მიუკერძოებელი სახის დახმარების ოპერაციები. ასეთი დახმარების გაწევის შემოთავაზება არ ითვლება შეიარაღებულ კონფლიქტში ჩარევად ან მტრულ აქტად. მიღებული დახმარების განაწილებისას პრიორიტეტი მიენიჭებათ ისეთ პირებს, როგორიცაა ბავშვები, ფეხმძიმე ქალები, მშობიარეები და მეძუძური დედები, რომლებიც მეოთხე კონვენციისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისად განსაკუთრებული შეღავათებითა და დაცვით სარგებლობენ.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარეები და ყოველი მაღალი ხელშემკერდელი მხარე ნებას რთავს ყველა იმ ტვირთის, მოწყობილობისა და პერსონალის სწრაფ და შეუფერხებელ გატარებას, რომელიც, წინამდებარე ნაწილის შესაბამისად დახმარების გასაწევად არის განკუთვნილი და ხელს უწყობს მას მაშინაც კი, როცა ასეთი დახმარება მოწინააღმდეგე მხარის სამოქალაქო მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი.

3. კონფლიქტის მონაწილე მხარეს და ყოველ მაღალ ხელშემკერდელ მხარეს, რომელიც მე-2 პარაგრაფის თანახმად დახმარების გასაწევად ნებას რთავს ტვირთის, აღჭურვილობისა და პერსონალის გატარებას:

(ა) უფლება აქვს შემოიღოს ტექნიკური ზომები, ტვირთის დათვალიერების ჩათვლით, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც ნებადართული იქნება ტვირთის გატარება;

(ბ) შეუძლია ტვირთის გატარების წინაპირობად განაწილების ადგილზე მფარველი სახელმწიფოს მიერ გაკონტროლება დაადგინოს;

(გ) არ შეუძლია რაიმე სახით დახმარების ტვირთის დანიშნულების შეცვლა ან მისი შეჩერება, გარდა შესაბამისი სამოქალაქო მოვალეობის ინტერესებიდან გამომდინარე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა.

4. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ დახმარების ტვირთების დაცვას და ხელს უწყობენ მათ სწრაფად განაწილებას.

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეები და ყოველი დაინტერესებული მაღალი ხელშემკერდელი მხარე წაახალისებს და ხელს შეუწყობს პირველ პარაგრაფში მითითებული დახმარების ოპერაციების ეფექტურ საერთაშორისო კოორდინაციას.

მუხლი 71 – დახმარების ოპერაციებში მონაწილე პერსონალი

1. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარების ოპერაციების განსაკუთრებით ტვირთის ტრანსპორტირებისა და გადანაწილებისათვის საჭირო პერსონალის გამოყოფა შეიძლება იყოს ამ ოპერაციების შემადგენელი ნაწილი; ასეთი პერსონალის მონაწილეობას უნდა დაეთანხმოს მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იგი თავის მოვალეობებს შეასრულებს.

2. ამგვარი პერსონალი პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდეს.

3. დახმარების ტვირთის მიმღები ყოველი მხარე მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში შეეცდება დაეხმაროს პირველ პარაგრაფში მითითებულ პერსონალს მისი მისიის შესრულებაში. მხოლოდ უკიდურესი სამხედრო მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიძლება ამგვარი პერსონალის საქმიანობისა და მისი გადაადგილების დროებით შეზღუდვა.

4. დახმარების ოპერაციების პერსონალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდეს წინამდებარე ოქმის შესაბამისად განსაზღვრული მისიის ფარგლებს. კერძოდ, მან მხედველობაში უნდა მიიღოს იმ მხარის უშიშროების მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც თავის მოვალეობებს ასრულებს. ასეთი პერსონალის შემადგენლობაში შემაგალი ნებისმიერი პირის საქმიანობა, რომელიც ამ პირობებს არ ასრულებს, შეიძლება შეწყდეს.

ნაწილი III

კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლებაში მყოფ პირებთან მოპქრობა

თავი I

ბამოყენების სფერო და პირთა და ობიექტთა დაცვა

მუხლი 72 – გამოყენების სფერო

წინამდებარე ნაწილში შემაგალი დებულებები წარმოადგენს კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლებაში მყოფი სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების ჰუმანიტარულ დაცვასთან დაკავშირებული მეოთხე კონვენციის, კერძოდ მისი I და III კარების ნორმების, ისევე როგორც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების დამატებას.

მუხლი 73 – ლტოლვილები და მოქალაქეობის არმქონე პირები

პირები, რომლებიც საომარი მოქმედებების დაწყებამდე, დაინტერესებული მხარეების მიერ მიღებული შესაბამისი საერთაშორისო აქტების ან თავშესაფრის მიცემა, ან მათი ბინადრობის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირებად ან ლტოლვილებად ითვლებოდნენ, ნებისმიერ გარემოებაში და ყოველგვარი არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე, მეოთხე კონვენციის I და III კარების დაცვით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან.

მუხლი 74 – განცალკევებული ოჯახების გაერთიანება

მაღალი ხელშეშეკრული და კონფლიქტის მონაწილე მხარეები ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ, რათა ხელი შეუწყონ შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად განცალკევებული ოჯახების გაერთიანებას, კერძოდ, წაახალისებენ ამ ამოცანის განმახორციელებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებების, ასევე თავისი სათანადო უშიშროების წესების შესაბამისად მოქმედებენ.

მუხლი 75 – ძირითადი გარანტიები

1. იმდენად, რამდენადაც კონფლიქტის მონაწილე მხარის ხელისუფლებაში მყოფ პირებს, რომლებიც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისად უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობენ, წინამდებარე ოქმის პირველ მუხლში მითითებული ვითარება ეხებათ, ნებისმიერ გარემოებაში მათ ადამიანურად მოეპყრობიან. ისინი, სულ მცირე, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლებით ისარგებლებენ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის ან რომელიმე სხვა მსგავსი კრიტერიუმის საფუძველზე დამყარებული არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე. თითოეული მხარე პატივისცემით უნდა მოეპყროს ყველა ასეთი პირის პიროვნებას, ღირსებას, შეხედულებებსა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

2. ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა, სამოქალაქო ორგანოების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს თუ სამხედროებმა, აკრძალულია და ყოველთვის აკრძალულად დარჩება შემდეგი ქმედებების ჩადენა:

(ა) პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე ძალადობა, კერძოდ:

(i) მკვლელობა;

(ii) ყველა სახის ფიზიკური თუ ფსიქიკური წამება;

(iii) სხეულებრივი სასჯელები; და

(iv) დასახიჩრება;

(ბ) პიროვნული ღირსების შელახვა, კერძოდ, დამამცირებელი და შეურაცხყოფელი მოპყრობა, პროსტიტუციის იძულება და უღირსი ხელყოფის ნებისმიერი ფორმა;

(გ) მძევლად აყვანა;

(დ) კოლექტიური დასჯა; და

(ე) რომელიმე ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენის მუქარა.

3. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით დაპატიმრებული, დაკავებული ან ინტერნირებული ნებისმიერი პირი მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული ამ ზომების მიღების მიზეზების შესახებ. სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევებისათვის დაპატიმრების ან დაკავების შემთხვევების გარდა, ასეთი პირები უმოკლეს ვადაში და მაშინვე უნდა გათავისუფლდნენ, როგორც კი დაპატიმრების, დაკავების ან ინტერნირების მიზეზები აღარ იარსებებს.

4. არ შეიძლება განაჩენის გამოტანა ან სასჯელის აღსრულება იმ პირის მიმართ, რომელსაც შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, თუკი მისი დამნაშავედ ცნობა არ ეფუძნებოდა მიუკერძოებელი და სათანადოდ დაფუძნებული სასამართლოს მიერ სამართალწარმოების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით გამოტანილ გადაწყვეტილებას, რაც მოიცავს შემდეგს:

- (ა) პროცედურით გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის დაუყოვნებლივ ინფორმირება სამართალდარღვევის დეტალების შესახებ, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება, ასევე სასამართლომდე და სასამართლოში საქმის მოსმენისას მისთვის დაცვის ყველა აუცილებელი უფლებისა და საშუალების მინიჭება;
- (ბ) პირის გასამართლება შეიძლება მხოლოდ პირადი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე;
- (გ) არ შეიძლება პირის მსჯავრდება სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევისათვის ისეთი ქმედების ან დაუდევრობის საფუძველზე, რომელიც მისი ჩადენის მომენტში, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სასხლისსამართლებრივ სამართალდარღვევას არ წარმოადგენდა; ასევე არ შეიძლება ასეთი სამართალდარღვევისათვის მისი ჩადენის მომენტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება; სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით უფრო მსუბუქი სასჯელის დადგენის შემთხვევაში, მისი მოქმედება ასეთ სამართალდამრღვევზეც გავრცელდება;
- (დ) ყოველი ბრალდებული კანონის შესაბამისად მისი ბრალის დადგენამდე უდანაშაულოდ ითვლება;
- (ე) ყოველ ბრალდებულს სასამართლოს წესით საქმის განხილვის მისი თანდასწრებით წარმართვის მოთხოვნის უფლება აქვს;
- (ვ) არც ერთი პიროვნება არ შეიძლება აიძულონ მისცეს თავის საწინააღმდეგო ჩვენება ან აღიაროს ბრალი;
- (ზ) ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები ან მოითხოვოს მათი დაკითხვა, გარდა ამისა, გამოიძახოს და დაკითხოს მის სასარგებლოდ ჩვენების მიმცემი მოწმეები, იმავე პირობებით, რომლითაც მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები სარგებლობენ;
- (თ) არ შეიძლება იმავე მხარის მიერ ისეთი პირის დევნა ან დასჯა სამართალდარღვევისთვის, რომლისთვისაც, იმავე კანონისა და სასამართლო პროცედურის თანახმად, მის მიმართ უკვე იყო გამოტანილი გამამართლებელი ან გამამტყუნებელი საბოლოო განაჩენი;
- (ი) ყოველ პირს, რომელიც სამართალდარღვევისათვის სასამართლო წესით იდევნება, მის მიმართ გამოტანილი განაჩენის საჯაროდ გამოცხადების უფლება აქვს; და
- (კ) განაჩენის გამოტანისას მსჯავრდებულს უნდა შეატყობინონ სასამართლო ან სხვა წესით განაჩენის გასაჩივრების უფლების, ასევე იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მას ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია.

5. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო თავისუფლება შეზღუდულ ქალებს მამაკაცებისაგან განცალკევებულ სათავსებში და ქალთა პერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მოათავსებენ. ამავე დროს, ოჯახის დაკავების ან ინტერნირების შემთხვევაში, ოჯახის წევრებს შეძლებისდაგვარად, როგორც ცალკე ოჯახს ერთსა და იმავე ადგილას განათავსებენ.

6. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო დაპატიმრებული, დაკავებული ან ინტერნირებული პირები მათ საბოლოო გათავისუფლებამდე, რეპატრიაციასა ან რესტიტუციამდე შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგაც წინამდებარე მუხლის დაცვით სარგებლობენ.

7. ომის დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა დევნასა და სასამართლოს წინაშე მათ წარდგენასთან დაკავშირებით ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

(ა) ამგვარი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა დევნა და სასამართლოსათვის გადაცემა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ხორციელდება; და

(ბ) ნებისმიერ ასეთ პირს, რომელიც კონვენციების ან წინამდებარე ოქმის თანახმად, უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობს, წინამდებარე მუხლის შესაბამისად მოეპყრობიან, მიუხედავად იმისა, დანაშაული, რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება, წარმოადგენს თუ არა კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევას.

8. წინამდებარე მუხლის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს მას შეუძლია შეზღუდოს ან შელახოს ნებისმიერი სხვა დებულება, რომელიც, მოქმედი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, პირველ პარაგრაფში აღნიშნულ პირებს უფრო ფართო დაცვას ანიჭებს.

თავი II

ქალებისა და ბავშვების დაცვის ღონისძიებები

მუხლი 76 – ქალების დაცვა

1. ქალები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ და დაცული უნდა იყვნენ გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციისა და უღირსი ხელყოფის ნებისმიერი ფორმისაგან.

2. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო დაპატიმრებული ან ინტერნირებული ფესმძიმე ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების დედების საქმეები უპირველეს რიგში განიხილება.

3. კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, უარი თქვან ფესმძიმე ქალების ან მცირეწლოვანი შეილების დედებისათვის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე. აღნიშნული ქალების მიმართ ასეთ სამართალდარღვევებზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი არ აღსრულდება.

მუხლი 77 – ბავშვების დაცვა

1. ბავშვები განსაკუთრებული პატივისცემითა და უდიდესი ხელყოფის ნებისმიერი ფორმისგან დაცვით სარგებლობენ. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მათ დაცვითა და დახმარებით, რომელიც მათი ასაკის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო აუცილებელი შეიძლება იყოს.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ყველა შესაძლებელ ღონეს იხმარენ, რათა თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, კერძოდ, მხარეები თავს შეიკავებენ შეიარაღებულ ძალებში მათი გაწვევისაგან. თხუთმეტ წელს მიღწეული პირების გაწვევისას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან უპირატესობა ყველაზე ასაკოვან პირებს მიანიჭონ.

3. როცა გამონაკლის შემთხვევაში, მე-2 პარაგრაფის დებულებათა მიუხედავად, თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვები უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში და მოწინააღმდეგის ხელში ხვდებიან, ისინი განაგრძობენ წინამდებარე მუხლით მინიჭებული განსაკუთრებული დაცვით სარგებლობას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა სამხედრო ტყვეები.

4. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო დაპატიმრებულ, დაკავებულ ან ინტერნირებულ ბავშვებს მოზრდილთაგან განცალკევებით მოათავსებენ, გარდა 75-ე მუხლის მე-5 პარაგრაფის თანახმად გათვალისწინებული შემთხვევისა, როცა ოჯახებს, როგორც ცალკეულ ერთეულებს ათავსებენ.

5. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სამართალდარღვევისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი არ უნდა აღსრულდეს იმ პირთა მიმართ, ვისაც სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში თვრამეტი წელი არ შესრულებია.

მუხლი 78 – ბავშვების ევაკუაცია

1. კონფლიქტის მონაწილე არც ერთი მხარე არ მიიღებს უცხო სახელმწიფოში ბავშვების ევაკუაციასთან დაკავშირებულ ზომებს, თუკი ბავშვები არ არიან თავისი მოქალაქეები, ისეთი შემთხვევების გარდა, როცა საქმე ეხება ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას ან მკურნალობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მიზეზებს, ან, როდესაც ბავშვები ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან და მათი უსაფრთხოებისათვის აუცილებელია დროებითი ევაკუაცია. როცა შესაძლებელია მშობლების ან კანონიერი მზრუნველების მონახვა, საჭიროა ევაკუაციაზე მათი წერილობითი თანხმობის მიღება. თუ ასეთი პირების მონახვა შეუძლებელია, მაშინ ევაკუაციისათვის საჭიროა იმ პირთა თანხმობა, რომელთაც კანონის ან ჩვეულების ძალით ბავშვებზე ზრუნვის უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თითოეული ასეთი ევაკუაცია ხორციელდება მფარველი სახელმწიფოს ზედამხედველობით დაინტერესებულ მხარეებთან, ანუ ევაკუაციის განმახორციელებელ, ბავშვების მიმღებ და იმ მხარესთან შეთანხმებით, რომლის მოქალაქეებიც უნდა იყვნენ ევაკუირებული. ყველა შემთხვევაში, კონფლიქტის მონაწილე ყვე-

ლა მხარე უსაფრთხოების ყველა შესაძლო პრაქტიკულ ზომას მიიღებს, რათა თავიდან აიცილოს ევაკუაციისათვის რაიმე საფრთხის შექმნა.

2. პირველი პარაგრაფის შესაბამისად ევაკუაციის განხორციელების ყველა შემთხვევაში, ევაკუაციაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში შეუწყვეტილ, უზრუნველყოფილი იქნება ყველა ბავშვის სწავლება, რელიგიური და მორალური აღზრდის ჩათვლით, მისი მშობლების სურვილის თანახმად.

3. წინამდებარე მუხლის თანახმად ევაკუირებული ბავშვების თავიანთ ოჯახებსა და ქვეყნებში დაბრუნების გასაადვილებლად, ევაკუაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს, და როცა ეს მიზანშეწონილია, მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები თითოეული ბავშვის სახელზე ავსებენ ბარათს სურათითურთ, რომელსაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოძიების ცენტრალურ სააგენტოში აგზავნიან. თითოეული ბარათი, როცა ეს შესაძლებელია და როცა ეს ბავშვისათვის ზიანის მიყენების რისკთან არ არის დაკავშირებული, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- (ა) ბავშვის გვარ(ებ)ი;
- (ბ) ბავშვის სახელ(ებ)ი;
- (გ) ბავშვის სქესი;
- (დ) დაბადების ადგილი და თარიღი (თუ დაბადების თარიღი ცნობილი არ არის, მიახლოებითი ასაკი);
- (ე) მამის სრული სახელი;
- (ვ) დედის სრული სახელი და ქალიშვილობის გვარი;
- (ზ) ბავშვის უახლოესი ნათესავები;
- (თ) ბავშვის ეროვნება;
- (ი) ბავშვის მშობლიური ენა და ნებისმიერი სხვა ენა, რომელზეც იგი ლაპარაკობს;
- (კ) ბავშვის ოჯახის მისამართი;
- (ლ) ბავშვის ნებისმიერი პირადი ნომერი;
- (მ) ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- (ნ) ბავშვის სისხლის ჯგუფი;
- (ო) ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშანი;
- (პ) ბავშვის პოვნის თარიღი და ადგილი;
- (ჟ) ბავშვის მიერ თავისი ქვეყნის დატოვების თარიღი და ადგილი;
- (რ) ბავშვის რელიგიური კუთვნილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (ს) ბავშვის ამჟამინდელი მისამართი მიმღებ ქვეყანაში;
- (ტ) დაბრუნებამდე ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალების თარიღი, ადგილი, გარემოებები და დაკრძალვის ადგილი.

თავი III ჟურნალისტიკა

მუხლი 79 – ჟურნალისტთა დაცვის ღონისძიებები

1. შეიარაღებული კონფლიქტის რაიონში სახიფათო პროფესიულ მივლინებაში მყოფი ჟურნალისტები 50-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში სამოქალაქო პირებად ითვლებიან.

2. როგორც ასეთი, ისინი სარგებლობენ კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დაცვით იმ პირობით, რომ არ სჩადიან სამოქალაქო პირის სტატუსთან შეუთავსებელ რაიმე ქმედებას და ეს ზიანს არ აყენებს შეიარაღებულ ძალებთან აკრედიტებული სამოქალაქო ჟურნალისტების უფლებას მესამე კონვენციის მე-4 მუხლის ა (4) ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ სტატუსზე.

3. მათ შეუძლიათ წინამდებარე ოქმის II დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით შედგენილი პირადობის მოწმობა მიიღონ. აღნიშნული მოწმობა, გაცემული სახელმწიფოს მიერ, რომლის მოქალაქეცაა ჟურნალისტი ან რომლის ტერიტორიაზეც იგი მუდმივად ცხოვრობს, ან რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მისი დამსაქმებელი საინფორმაციო სააგენტო, ადასტურებს წარმომდგენის ჟურნალისტის სტატუსს.

პარი V

კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესრულება

ნაწილი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 80 – შესრულების ღონისძიებები

1. მაღალი ხელშემკერედი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები დაუყოვნებლივ იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მათთვის დაკისრებული ვალდებულებები შეასრულონ.

2. მაღალი ხელშემკერედი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები გასცემენ კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ბრძანებებსა და განკარგულებებს, და განახორციელებენ მათ შესრულებაზე კონტროლს.

მუხლი 81 – წითელი ჯვრისა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობა

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შესაძლებლობების ფარგლებში ყველა საშუალებას მისცემენ, რათა მან შეძლოს კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, რომელიც მიზნად კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვას ისახავს; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს კონფლიქტის მსხვერპლთა სასარგებლოდ, კონფლიქტის

მონაწილე დაინტერესებული მხარეების თანხმობით, ნებისმიერი სხვა სახის ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებაც შეუძლია.

2. კონფლიქტის მონაწილე მხარეები წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) თავის შესაბამის ორგანიზაციებს უზრუნველყოფენ ყველა საჭირო საშუალებით, რათა მათ განახორციელონ ჰუმანიტარული საქმიანობა შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დასახმარებლად კონვენციების, წინამდებარე ოქმისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების მიერ ფორმულირებული წითელი ჯვრის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

3. მაღალი ხელშემკვრელი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები ყოველი შესაძლო საშუალებით ხელს უწყობენ დახმარებას, რომელსაც წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ორგანიზაციები და წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგა¹ უწყევს შეიარაღებულ კონფლიქტის მსხვერპლთა კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებებისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების მიერ ფორმულირებული წითელი ჯვრის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

4. მაღალი ხელშემკვრელი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები, შესაძლებლობების ფარგლებში, მე-2 და მე-3 პარაგრაფების მსგავსად ყველა საჭირო საშუალებით უზრუნველყოფენ კონვენციებსა და წინამდებარე ოქმში მითითებულ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, რომლებიც კონფლიქტის შესაბამისი მხარეების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი არიან და თავის ჰუმანიტარულ საქმიანობას კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებათა შესაბამისად ახორციელებენ.

მუხლი 82 – იურიდიული მრჩევლები შეიარაღებულ ძალებში

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ნებისმიერ დროს და კონფლიქტის მონაწილე მხარეები კი შეიარაღებული კონფლიქტის დროს უზრუნველყოფენ, რომ ჰყავდეთ იურიდიული მრჩევლები, რომელთაც აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლებათ რჩევის მიცემა სათანადო რანგის სამხედრო ხელმძღვანელობისათვის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენებისა და შეიარაღებული ძალებისათვის ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე.

მუხლი 83 – გავრცელება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ როგორც მშვიდობიან, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ კონვენციები და წინამდებარე ოქმი თავიანთ ქვეყნებში. კერძოდ, შეიტანონ მათი სწავლება სამხედრო მომზადების პროგრამაში და ხელი შეუწყონ სამოქალაქო მოსახლეობის მიერ მათ შესწავლას, რათა ეს დოკუმენტები ცნობილი იყოს როგორც შეიარაღებული ძალების, ისე სამოქალაქო მოსახლეობისთვისაც.

¹ 1991 წლის 28 ნოემბერს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა ლიგას დასახელება შეეცვალა და მას „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაცია“ ეწოდა.

2. ნებისმიერი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, მათ ტექსტებს სრულად უნდა იცნობდეს.

მუხლი 84 – გამოყენების წესები

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უმოკლეს ვადაში დეპოზიტარის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მფარველი სახელმწიფოების მეშვეობით, ერთმანეთს უგზავნიან წინამდებარე ოქმის ოფიციალურ თარგმანებს, ისევე როგორც მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მიღებულ კანონებსა და წესებს.

ნაწილი II

კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევათა აღკვეთა

მუხლი 85 – წინამდებარე ოქმის დარღვევათა აღკვეთა

1. კონვენციების დებულებები მათი დარღვევებისა და მძიმე დარღვევების აღკვეთის შესახებ, წინამდებარე ნაწილის დებულებათა დამატებით, გამოიყენება წინამდებარე ოქმის დებულებათა დარღვევისა და მძიმე დარღვევების აღსაკვეთად.

2. კონვენციების თანახმად მძიმე დარღვევებად მიჩნეული დარღვევები წინამდებარე ოქმის მძიმე დარღვევებს წარმოადგენენ, თუ ისინი ჩადენილია მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მყოფი იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც დაცული არიან წინამდებარე ოქმის 44-ე, 45-ე და 73-ე მუხლებით, ჩადენილია მოწინააღმდეგის ხელისუფლებაში მყოფი ან წინამდებარე ოქმის დაცვით მოსარგებლე დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილი პირების ან ჩადენილია მოწინააღმდეგე მხარის კონტროლს ქვეშ მყოფი და წინამდებარე ოქმით დაცული სამედიცინო ან სასულიერო პერსონალის, სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების წინააღმდეგ.

3. მე-11 მუხლით განსაზღვრული მძიმე დარღვევების გარდა, წინამდებარე ოქმის მძიმე დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი მოქმედებები, როცა მათ წინამდებარე ოქმის შესაბამისი დებულებების დარღვევით წინასწარი განზრახვით სჩადიან და როცა ისინი სიკვდილს, სხეულის მძიმე დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას იწვევს. ასეთი მოქმედებებია:

(ა) სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების თავდასხმის ობიექტად გადაქცევა;

(ბ) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს 57-ე მუხლის მე-2(ა)(iii) ქვე-პუნქტის განსაზღვრების შესაბამისად, სამოქალაქო მოსახლეობაში ზედმეტ მსხვერპლს და დაჭრას გამოიწვევს ან სამოქალაქო ობიექტებს დააზიანებს;

(გ) თავდასხმა სახიფათო ძალის შემცველ ნაგებობებსა ან დანადგარებზე, როცა ცნობილია, რომ ეს 57-ე მუხლის მე-2(ა)(iii) ქვეპუნქტის განსაზღვრების შესაბამისად, სამოქალაქო მოსახლეობაში ზედმეტ მსხვერპლს და დაჭრას გამოიწვევს ან სამოქალაქო ობიექტებს დააზიანებს;

(დ) დაუცველ ადგილებსა და დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმა;

(ე) თავდასხმა პირზე, როცა ცნობილია, რომ იგი მწყობრიდანაა გამოსული;

(ვ) 37-ე მუხლის დარღვევით, წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის განმასხვავებელი ემბლემებით ან კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით აღიარებული სხვა დამცავი ნიშნების ვერაგულად გამოყენება.

4. წინა პარაგრაფებსა და კონვენციებში გათვალისწინებული მძიმე დარღვევების გარდა, წინამდებარე ოქმის მძიმე დარღვევად ითვლება მოქმედებები, როცა მათ წინასწარი განზრახვით, კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევით სწადიან. ასეთი მოქმედებებია:

(ა) ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის დარღვევით თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის გადაყვანა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან ოკუპირებული ქვეყნის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაყვანა ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ;

(ბ) სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის გაუმართლებელი შეფერხება;

(გ) აპართეიდის პრაქტიკისა და რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული პიროვნული ღირსების შემლახველი სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოქმედების განხორციელება;

(დ) ნათლად ამოსაცნობი ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშებისა და ღვთისმსახურების ადგილების, რომელიც ხალხთა კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს და რომლებსაც, მაგალითად, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული სპეციალური ხელშეკრულებით, განსაკუთრებული დაცვა ენიჭებათ, თავდასხმის ობიექტად გადაქცევა, რაც მათ მნიშვნელოვან ნგრევას იწვევს, თუ დადასტურებული არ არის მოწინააღმდეგე მხარის მიერ 53-ე მუხლის (ბ) ქვეპუნქტის დარღვევა და როცა ამგვარი ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები ან ღვთისმსახურების ადგილები სამხედრო ობიექტების უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს;

(ე) კონვენციების დაცვის ქვეშ მყოფი ან წინამდებარე მუხლის მე-2 პარაგრაფში მითითებული პირებისათვის მიუკერძოებელი და რეგულარული სამართალწარმოების უფლების ჩამორთმევა.

5. კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის გამოყენებისათვის ზიანის მიუყენებლად, ამ დოკუმენტების მძიმე დარღვევები ომის დანაშაულებად ჩაითვლება.

მუხლი 86 – უმოქმედობა

1. მაღალმა ხელშემკვრელმა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა აღკვეთონ მძიმე დარღვევები, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა კონვენციების ან წინამდებარე ოქმის ყველა სხვა დარღვევის აღსაკვეთად, რომელიც სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგია.

2. ის ფაქტი, რომ კონვენციების ან წინამდებარე ოქმის დარღვევა ჩადენილია ქვემდგომი პირის მიერ, მის მეთაურებს არ ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან იმ პირობით, რომ მათ იცოდნენ ან ისინი ფლობდნენ ინფორმაციას, რომელიც იმ დროისათვის არსებულ ვითარებაში საშუალებას აძლევდათ იმ დასკვნამდე მისულიყვნენ, რომ მათდამი დაქვემდებარებული პირი სჩადის ან აპირებს ჩაიდინოს ასეთი დარღვევა და თუ მათ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ასეთი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ყველა პრაქტიკულად შესაძლებელი ზომა არ მიიღეს.

მუხლი 87 – მეთაურთა მოვალეობები

1. მაღალმა ხელშემკვრელმა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა სამხედრო მეთაურებს უნდა მოსთხოვონ, რამდენადაც ეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ და სხვა, მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შეეხება, არ დაუშვან კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევა და, აუცილებლობის შემთხვევაში აღკვეთონ ასეთი დარღვევები და ამის შესახებ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს აცნობონ.

2. დარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, მაღალმა ხელშემკვრელმა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მეთაურებისაგან უნდა მოითხოვონ, რომ მათთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა მათ დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებული ძალების წევრებმა კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მათთვის დაკისრებული ვალდებულებების შესახებ იცოდნენ.

3. მაღალმა ხელშემკვრელმა და კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა თითოეული მეთაურისაგან, რომელმაც იცის, რომ მისთვის დაქვემდებარებული ან მის კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი სხვა პირი სჩადის ან აპირებს ჩაიდინოს კონვენციების ან წინამდებარე ოქმის დარღვევა, უნდა მოითხოვოს ყველა იმ ზომის მიღება, რომელიც კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად საჭირო, აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთი დარღვევის ჩამდენი პირების წინააღმდეგ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჩათვლით.

მუხლი 88 – ურთიერთდახმარება სისხლის სამართლებრივ საკითხებში

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მაქსიმალურად დაეხმარებიან ერთმანეთს კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის სერიოზული დარღვევების შემთხვევაში დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ საკითხებში.

2. კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის 85-ე მუხლის პირველი პარაგრაფით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობებისათვის ზიანის მიუყენებლად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლობენ ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებში. ისინი ითვალისწინებენ იმ სახელმწიფოს თხოვნას, რომლის ტერიტორიაზეც მისი მტკიცებით დანაშაული მოხდა.

3. ყველა შემთხვევაში გამოყენებული იქნება დამნაშავეს გადაცემის შესახებ თხოვნის მიმღები მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა. თუმცა, წინა პუნქტში მოყვანილი დებულებები არ ხელყოფს ნებისმიერი სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომელიც სრულიად ან ნაწილობრივ აწესრიგებს ან მოაწესრიგებს სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებში ურთიერთდახმარების გაწევას.

მუხლი 89 – თანამშრომლობა

კონვენციების ან წინამდებარე ოქმის დებულებების მიძიმე დარღვევების შემთხვევაში მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ ერთობლივად ან ინდივიდუალურად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

მუხლი 90 – ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია

1. (ა) დაარსდება ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომისია“) თხუთმეტი წევრის შემადგენლობით, რომლებიც მაღალი მორალური თვისებებითა და აღიარებული მიუკერძოებლობით ხასიათდებიან.

(ბ) მას შემდეგ, რაც ოცი მაღალი ხელშემკვრელი მხარე მე-2 პარაგრაფის შესაბამისად თანხმობას განაცხადებს კომისიის კომპეტენციის აღიარებაზე, კომისიის წევრების ასარჩევად დეპოზიტარი, შემდგომში კი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, მოიწვევს ზემოაღნიშნული მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრას. შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლები კომისიის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომელშიც თითოეულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ერთი კანდიდატურის წარდგენა შეუძლია.

(გ) კომისიის წევრები პირადი კომპეტენციის ფარგლებში მსახურობენ და დაკისრებულ ვალდებულებებს მომავალ შეხვედრაზე ახალი წევრების არჩევამდე ასრულებენ.

(დ) მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კომისიის წევრთა არჩევისას ყურადღებას მიაქცევენ, რომ კომისიაში ასარჩევი თითოეული პირი შესაფერისი თვისებებით ხასიათდებოდეს და კომისიაში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობა.

(ე) გაუთვალისწინებელი ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, ვაკანსიას თვითონ კომისია შეავსებს, წინა ქვეპუნქტების დებულებათა გათვალისწინებით.

(გ) დეპოზიტარი კომისიას მისი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელ ადმინისტრაციულ დახმარებას გაუწევს.

2. (ა) მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ ოქმის ხელმოწერისას, რატიფიცირებისას, მიერთებისას ან შემდგომში ნებისმიერ დროს განაცხადონ, რომ *ipso facto* და წინასწარი შეთანხმების გარეშე, ცნობენ თავის თავზე ამგვარი ვალდებულების მიმღებ ნებისმიერ სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში კომისიის კომპეტენციას შეამოწმოს ასეთი მხარის განცხადებები, როგორც ეს წინამდებარე მუხლითაა ნებადართული.

(ბ) ზემოხსენებული განცხადებები გადაეცემა დეპოზიტარს, რომელიც ასლებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს უგზავნის.

(გ) კომისიის კომპეტენციაში შედის:

(i) ნებისმიერი ფაქტის გამოძიება, რომელიც სავარაუდოდ კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დებულებებით განსაზღვრულ მძიმე ან სხვა სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს,

(ii) კეთილი სამსახურის გაწევით ხელი შეუწყოს კონვენციებისა და წინამდებარე ოქმისადმი პატივისცემის დამოკიდებულების აღდგენას.

(დ) სხვა სიტუაციებში, კომისია გამოძიებას იწყებს კონფლიქტის მონაწილე მხარის თხოვნის საფუძველზე და მხოლოდ სხვა დაინტერესებული მხარის ან მხარეების თანხმობით.

(ე) წინამდებარე პარაგრაფის ზემოაღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, პირველი კონვენციის 52-ე მუხლის, მეორე კონვენციის 53-ე მუხლის, მესამე კონვენციის 132-ე მუხლისა და მეოთხე კონვენციის 149-ე მუხლის დებულებათა მოქმედება კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის ნებისმიერ სავარაუდო დარღვევაზე ვრცელდება.

3. (ა) დაინტერესებულ მხარეებს შორის განსხვავებული ხასიათის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ყველა გამოძიებას აწარმოებს შვიდი წევრისგან შემდგარი პალატა, რომელიც შემდგენიარად დაკომპლექტდება:

(i) კომისიის ხუთ წევრს, რომლებიც არ არიან კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქეები, გეოგრაფიული რაიონების სამართლიანად წარმოდგენის საფუძველზე და კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე;

(ii) ორ საგანგებო წევრს, რომლებიც არ არიან კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქეები, თავად მხარეები ნიშნავენ.

(ბ) გამოძიების ჩატარების შესახებ თხოვნის მიღების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე დაადგენს პალატის შექმნის ვადას. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ აირჩიეს რომელიმე საგანგებო წევრი, კომისიის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ნიშნავს პალატის დაკომპლექტებისათვის აუცილებელ დამატებით წევრს ან წევრებს.

4. (ა) პალატა, რომელიც მე-3 პარაგრაფის თანახმად შექმნილია გამოძიების ჩასატარებლად, მოუწოდებს კონფლიქტის მონაწი-

ლე მხარეებს, გაუწიონ მას დახმარება და წარმოუდგინონ მტკიცებულებები. ამასთანავე, პალატას შეუძლია თავად მოიძიოს სხვა აუცილებელი მტკიცებულებები და გამოძიება ადგილზევე აწარმოოს.

(ბ) ყველა მოპოვებული მტკიცებულება სრულად მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს, რომელთაც ამ მტკიცებულებათა შესახებ კომისიისათვის შენიშვნების წარდგენის უფლება აქვთ.

(გ) ყოველ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს სადავო გახადოს ეს მტკიცებულებები.

5. (ა) კომისია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს პალატის მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მოხსენებას იმ რეკომენდაციებთან ერთად, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

(ბ) თუ პალატამ ვერ შეძლო ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, იგი კომისიას აცნობებს მიზეზებს, რომელთა გამოც ეს ვერ მოახერხა.

(გ) კომისია თავის დასკვნას საჯაროდ არ აცხადებს, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე მოითხოვს.

6. კომისია ადგენს თავის პროცედურულ წესებს, კომისიასა და პალატაში თავმჯდომარეობის წესების ჩათვლით. ეს წესები უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი ფუნქციების აღსრულებას ნებისმიერ დროს, ხოლო გამოძიების წარმოებისას, მათ შესრულებას იმ პირის მიერ, რომელიც კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქე არ არის.

7. კომისიის ადმინისტრაციული ხარჯები იფარება ნებაყოფლობითი შენატანებითა და იმ მაღალ ხელშემკერელ მხარეთა შენატანებით, რომელთაც, მე-2 პარაგრაფის თანახმად გაკეთებული აქვთ განცხადებები. კონფლიქტის მონაწილე მხარე ან მხარეები, რომელიც კომისიას გამოძიების ჩატარების თხოვნით მიმართავენ, ავანსად იხდიან პალატის ხარჯების დასაფარად საჭირო თანხას, რომლის ორმოცდაათ პროცენტს ანაზღაურებს მხარე ან მხარეები, რომელთა წინააღმდეგ არის მიმართული განცხადება გამოძიების დაწყების შესახებ. პალატისათვის შემხვედრი განცხადების წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს ავანსად შეაქვს აუცილებელი სახსრების ორმოცდაათი პროცენტი.

მუხლი 91 – პასუხისმგებლობა

კონვენციების ან წინამდებარე ოქმის დებულებათა დამრღვევი კონფლიქტის მონაწილე მხარე ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, მიყენებული ზარალი აანაზღაუროს. იგი პასუხს აგებს მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირების მიერ ჩადენილ ყველა ქმედებაზე.

პარი VI დასკვნითი დებულებები

მუხლი 92 – ხელმოწერა

წინამდებარე ოქმი კონვენციების მონაწილე მხარეთა მიერ ხელმოსაწერად ღია საბოლოო აქტის ხელმოწერიდან ექვსი თვის შემდეგ დადარჩება ღიად თორმეტი თვის განმავლობაში.

მუხლი 93 – რატიფიკაცია

წინამდებარე ოქმის რატიფიცირება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსთან, კონვენციების დეპოზიტართან.

მუხლი 94 – მიერთება

წინამდებარე ოქმი შესაერთებლად ღია კონვენციების მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია. შეერთების აქტი დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან.

მუხლი 95 – ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის ორი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

2. კონვენციების მონაწილე თითოეული მხარისათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს წინამდებარე ოქმის რატიფიცირებას ან შეერთებას ის ძალაში შედის ამ მხარის მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 96 – წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდგომი სახელშეკრულებო ურთიერთობები

1. თუ კონვენციების მონაწილე მხარეები აგრეთვე წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეს წარმოადგენენ, კონვენციები წინამდებარე ოქმის მიერ მათში შეტანილი დამატებების გათვალისწინებით გავრცელდება.

2. თუ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ არის წინამდებარე ოქმის მონაწილე, ოქმის მონაწილე მხარეებისათვის ერთმანეთს შორის ურთიერთობისას ოქმი სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამას გარდა, მონაწილე მხარეებისთვის ოქმი სავალდებულოა ოქმის არამონაწილე მხარეებთან ურთიერთობებშიც, თუ ეს უკანასკნელი ოქმის დებულებებს აღიარებს და იყენებს.

3. ხელისუფლებას, რომელიც პირველი მუხლის მე-4 პარაგრაფში აღნიშნულ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მაღალი ხელშემაკრეული მხარის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს წარმოადგენს, დეპოზიტარის სახელზე ცალმხრივი განცხადების გაკეთების გზით შეუძლია აიღოს ვალდებულება, აღნიშნული კონფლიქტის შემთხვევაში დაიცვას კონვენციები და წინამდებარე ოქმი. დეპოზიტარის მიერ მიღებულ ამგვარ განცხადებას ამ კონფლიქტთან მიმართებაში შემდეგი კონკრეტული შედეგები ექნება:

- (ა) კონვენციები და წინამდებარე ოქმი დაუყოვნებლივ შედის ძალაში აღნიშნული ხელისუფლებისათვის, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარისათვის;
- (ბ) აღნიშნულ ხელისუფლებას ისეთივე უფლებები ენიჭება და ისეთივე ვალდებულებები ეკისრება, როგორიც კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მაღალი ხელშემკერელი მხარისთვისაა გათვალისწინებული; და
- (გ) კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დაცვა თანაბრად სავალდებულოა კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისათვის.

მუხლი 97 – შესწორებები

1. ნებისმიერ მაღალ ხელშემკერელ მხარეს შეუძლია წინამდებარე ოქმში შესწორებების შეტანის შეთავაზება. ნებისმიერი შეთავაზებული შესწორების ტექსტი გაეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც ყველა მაღალ ხელშემკერელ მხარესთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან კონსულტაციების შედეგად წყვეტს, მოიწვიოს თუ არა კონფერენცია შეთავაზებული შესწორების განსახილველად.
2. დეპოზიტარი ამ კონფერენციაზე მოიწვევს ყველა მაღალ ხელშემკერელ მხარეს, და ასევე კონვენციების მონაწილე მხარეებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმზე ხელმოწერნი.

მუხლი 98 – I დანართის გადახედვა

1. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ოთხი წლისა, ხოლო შემდგომში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კონსულტაციებს გამართავს მაღალ ხელშემკერელ მხარეებთან წინამდებარე ოქმის I დანართის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ტექნიკური ექსპერტების შეხვედრა დანართის გადახედვისა და მასში სასურველი შესწორებების შეტანის მიზნით. თუ შეხვედრის მოწვევის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან ექვსი თვის განმავლობაში მაღალ ხელშემკერელ მხარეთა ერთი მესამედი უარს არ გამოთქვამს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი შეხვედრას დანიშნავს და მასზე დასასწრებად შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს მოიწვევს. ასეთი შეხვედრის მოწვევა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია ნებისმიერ დროს, როცა ამას მაღალი ხელშემკერელი მხარეების ერთი მესამედი მოითხოვს.
2. დეპოზიტარი იწვევს მაღალ ხელშემკერელ და კონვენციების მონაწილე მხარეთა კონფერენციას ტექნიკური ექსპერტების შეხვედრის მიერ შეთავაზებული შესწორებების განსახილველად, თუ ამას თათბირის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან მაღალი ხელშემკერელი მხარეების ერთი მესამედი მოითხოვს.
3. I დანართის შესწორებები შეიძლება მიღებული იყოს ამგვარი კონფერენციის მონაწილე და კენჭისმყრელი მაღალი ხელშემკერელი მხარეების ორი მესამედის უმრავლესობით.
4. დეპოზიტარი მაღალ ხელშემკერელ და კონვენციების მონაწილე მხარეებს აცნობებს ამგვარად მიღებული ნებისმიერი შესწორების შე-

სახეებ. შესწორება მიღებულად ითვლება ამგვარი შეტყობინების გაკეთებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მაღალი ხელშემკერელი მხარეების, სულ ცოტა, ერთმა მესამედმა დეპოზიტარს არ გაუგზავნა განცხადება შესწორების მიუღებლობის თაობაზე.

5. მე-4 პარაგრაფის თანახმად მიღებული შესწორებები ყველა მაღალი ხელშემკერელი მხარისათვის ძალაში შედის მიღებიდან სამი თვის შემდეგ, გარდა იმ მხარეებისა, რომლებმაც მე-4 პარაგრაფის თანახმად შესწორების მიუღებლობის თაობაზე განაცხადეს. აღნიშნული განცხადების გაკეთებულ ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი უკან გამოსხივება, რის შედეგადაც შესწორება ამ მხარისათვის ძალაში შედის სამი თვის შემდეგ.

6. დეპოზიტარი მაღალ ხელშემკერელ და კონვენციის მონაწილე მხარეებს აცნობებს ნებისმიერი შესწორების ძალაში შესვლისა და იმ მხარეების შესახებ, რომლებზეც იგი ვრცელდება, ასევე ცალკეული მხარისათვის მისი ძალაში შესვლის თარიღის, მე-4 პარაგრაფის თანახმად გაკეთებული შესწორების მიუღებლობის განცხადებებისა და ასეთი განცხადებების უკან გამოსხივების შესახებ.

მუხლი 99 – დენონსაცია

1. იმ შემთხვევაში, თუ მაღალი ხელშემკერელი მხარე მოახდენს წინამდებარე ოქმის დენონსაციას, დენონსაცია ძალაში შედის მხოლოდ დენონსაციის შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, თუ ამ ერთი წლის ამოწურვამდე მხარე, რომელმაც დენონსაციის შესახებ განაცხადა, აღმოჩნდება პირველ მუხლში მითითებულ რომელიმე სიტუაციაში, დენონსაცია ძალაში შედის შეიარაღებული კონფლიქტის ან ოკუპაციის დასრულების შემდეგ და არავითარ შემთხვევაში კონვენციებით ან წინამდებარე ოქმით დაცული პირების საბოლოო გათავისუფლებასთან, რეპატრიაციასა ან რესტიტუციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასრულებამდე.

2. დენონსაციის შესახებ შეტყობინება წერილობითი ფორმით გაგზავნება დეპოზიტარს, რომელიც ამ შეტყობინებას ყველა მაღალ ხელშემკერელ მხარეს დაუგზავნის.

3. დენონსაცია ძალაშია მხოლოდ იმ მხარისთვის, რომელმაც დენონსაციის შესახებ განაცხადა.

4. პირველი პარაგრაფის თანახმად გაკეთებული არც ერთი დენონსაცია არ შეეხება შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით წინამდებარე ოქმის შესაბამისად დენონსაციის განმცხადებელი მხარის მიერ უკვე აღებულ ვალდებულებებს, ასეთი დენონსაციის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ნებისმიერი ქმედების მიმართ.

მუხლი 100 – შეტყობინებები

დეპოზიტარი მაღალ ხელშემკერელ მხარეებს და კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმის ხელმოწერნი, ატყობინებს:

(ა) 93-ე და 94-ე მუხლების შესაბამისად წინამდებარე ოქმზე გაკეთებული ხელმოწერების, დეპონირებული სარატიფიკაციო სიგე-

ლებისა და შეერთების აქტების შესახებ;

(ბ) 95-ე მუხლის თანახმად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

(გ) 84-ე, 90-ე და 97-ე მუხლების თანახმად მიღებული შეტყობინებებისა და განცხადებების შესახებ;

(დ) 96-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად მიღებული განცხადებების შესახებ, რომელთა თაობაზე შეტყობინებები უსწრაფესი მეთოდებით უნდა განხორციელდეს; და

(ე) 99-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული დენონსაციების შესახებ.

მუხლი 101 – რეგისტრაცია

1. ძალაში შესვლის შემდეგ, წინამდებარე ოქმი დეპოზიტარის მიერ იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციისა და გამოქვეყნებისთვის.

2. დეპოზიტარი აგრეთვე შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წინამდებარე ოქმთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ყველა რატიფიკაციის სიგელის, შეერთების აქტისა და დენონსაციის შეტყობინების შესახებ.

მუხლი 102 – ავთენტიკური ტექსტები

წინამდებარე ოქმის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები არის თანაბრად ავთენტური, დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან, რომელიც კონვენციების ყველა მონაწილე მხარეს ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს.

დანართი I

ამოცნობასთან დაკავშირებული წესები

მუხლი 1 – ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დანართში მოცემული ამოცნობასთან დაკავშირებული წესები ქენევის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისი დებულებების განხორციელებას ემსახურება; წესების მიზანია ქენევის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დაცვის ქვეშ მყოფი პერსონალის, საშუალებების, შენაერთების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების ამოცნობის გაადვილება.

2. მოცემული წესები თავისი თავიდან გამომდინარე დაცვის უფლებას არ აწესებს. ეს უფლება კონვენციებისა და ოქმის შესაბამისი მუხლებით რეგულირდება.

3. ქენევის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის შესაბამისი დებულებების თანახმად, უფლებამოსილ ორგანოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განმასხვავებელი ემბლემებისა და სიგნალების გამოყენება, გამოსახვა, განათება და ცნობადობა არეგულირონ.

4. მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, განსაკუთრებით კი კონფლიქტის

მონაწილე მხარეებს ყოველთვის მოუწოდებენ დადონ შეთანხმებები დამატებითი ან სხვა სიგნალების, საშუალებების ან სისტემების შესახებ, რომელიც ამოცნობის შესაძლებლობას აძლევს და მოცემულ სფეროში არსებული ტექნოლოგიური პროგრესით სარგებლობის სრულ შესაძლებლობას კმნის.

თავი I პირადობის მოწმობა

მუხლი 2 – მუდმივი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა

1. წინამდებარე ოქმის მე-18 მუხლის მე-3 პარაგრაფში აღნიშნული სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა:

- (ა) უნდა ატარებდეს განმასხვავებელ ემბლემას და იყოს იმ ზომის, რომ შეიძლებოდეს მისი ჯიბით ტარება;
- (ბ) უნდა იყოს რაც შეიძლება გამძლე;
- (გ) შედგენილი უნდა იყოს ეროვნულ ან ოფიციალურ ენაზე და, როცა საჭიროა, შესაბამისი რაიონის ადგილობრივ ენაზე;
- (დ) უნდა აღნიშნავდეს მფლობელის გვარს, დაბადების თარიღსა (ამ უკანასკნელის დაუდგენლობის შემთხვევაში, წლოვანება მოწმობის გაცემის მომენტში) და პირად ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (ე) უნდა მიუთითებდეს, თუ რა ფარგლებში სარგებლობს მფლობელი კონვენციებითა და წინამდებარე ოქმით მინიჭებული დაცვით;
- (ვ) უნდა ატარებდეს მფლობელის ფოტოსურათს, მის ხელმოწერას ან მისი ცერა თითის ანაბეჭდს, ან ორივეს ერთად;
- (ზ) უნდა ჰქონდეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და ხელმოწერა;
- (თ) უნდა მიუთითებდეს მოწმობის გაცემის თარიღსა და მოქმედების ვადას;
- (ი) მოწმობის უკანა მხარეზე, რამდენადაც შესაძლებელია, მითითებული უნდა იყოს მფლობელის სისხლის ჯგუფი.

2. პირადობის მოწმობა ერთგვაროვანი უნდა იყოს ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და, შეძლებისდაგვარად, ერთი და იმავე სახის კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისათვის. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ პირველ ნახატზე მოცემული, ერთ ენაზე შედგენილი ნიმუშით ისარგებლონ. საომარი მოქმედებების დაწყების მომენტიდან, მხარეები ერთმანეთს უგზავნიან მათ მიერ გამოყენებული ფორმის ნიმუშს, თუ ის პირველ ნახატზე მოცემული ნიმუშისგან განსხვავდება. პირადობის მოწმობა, შეძლებისამებრ, ორ ეგზემპლარად უნდა დამზადდეს, რომელთაგან ერთ-ერთს მოწმობის გამცემი ხელისუფლება შეინახავს და რომელიც მის მიერ გაცემულ მოწმობებზე კონტროლს ახორციელებს.

3. მუდმივ სამედიცინო და სასულიერო პერსონალს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვას პირადობის მოწმობა. პირადობის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს მოწმობის ასლის მიღების უფლება.

მუხლი 3 – დროებითი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა

1. დროებითი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა, შეძლებისდაგვარად, წინამდებარე წესების პირველ მუხლში გათვალისწინებული მოწმობის ანალოგიური უნდა იყოს. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ პირველ ნახატზე 2. როცა გარემოებები აბრკოლებს დროებითი სამედიცინო და სასულიერო პერსონალისთვის წინამდებარე წესების მე-2 მუხლში აღწერილი პირადობის მოწმობის ანალოგიური მოწმობის გაცემას, ასეთ პერსონალზე შეიძლება გაიცეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ ხელმოწერილი ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ პირს, რომელზეც იგი გაიცა, დროებითი სამედიცინო პერსონალის შემადგენლობაში გარკვეული მოვალეობების შესრულება ევალება და რომელიც, თუ შესაძლებელია, მიუთითებს ამგვარი დანიშვნის ვადას და მისი მფლობელის უფლებას ატაროს განმასხვავებელი ემბლემა. ცნობაში მითითებული უნდა იყოს მფლობელის გვარი და დაბადების თარიღი (თუ ამ უკანასკნელის დადგენა შეუძლებელია – პირის წლოვანება ცნობის გაცემის მომენტისთვის), მისი ფუნქციები და პირადი ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცნობაზე უნდა იყოს მფლობელის ხელმოწერა ან ცერის ანაბეჭდი, ან ორივე ერთად.

	
(მოცემული მოწმობის გამცემი სახელმწიფო და ხელისუფლების სახელწოდებისათვის დატოვებული ადგილი)	
დროუზბითი/მუდმივი სამოქალაქო სამედიცინო/სახულიერო პერსონალის	
პირადობის მოწმობა	
გვარი _____	
დაბადების თარიღი (ან ასაკი) _____	
პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) _____	
ამ მოწმობის მფლობელი იმყოფება ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებისა და საერთაშორისო შეთანხმებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების I დამატებითი ოქმის დაცვის ქვეშ, როგორც _____	
გაცემის თარიღი _____ ნომერი _____	მოწმობის მოწმობის გამცემი ხელისუფლების ორგანოს ხელმოწერა _____
ძალაშია _____	

ნახატი 1: პირადობის მოწმობის ნიმუში (ფორმატი: 74მმX105მმ)

სიმაღლე _____	თვალის ფერი _____	თმის ფერი _____
სხვა განმასხვავებელი ნიშნები ან მონაცემები: _____ _____ _____		
მფლობელის ფოტოსურათი		
ბეჭედი		მფლობელის ხელმოწერა, ცერა თითის ანაბეჭდი, ან ორივე ერთად

თავი II განმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 4 – ფორმა

განმასხვავებელი ემბლემა (წითელი თეთრ ფონზე), გარემოებებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს. წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და წითელი ლომისა და მზის² ფორმასთან დაკავშირებით, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ მე-2 ნახატზე გამოსახული ნიმუშებით იხელმძღვანელონ.



ნახატი 2: წითელი განმასხვავებელი ემბლემები თეთრ ფონზე

მუხლი 5 – გამოყენება

1. განმასხვავებელი ემბლემა, თუ შესაძლებელია, უნდა გამოისახოს ბრტყელ ზედაპირზე, დროშებზე ან სხვა საშუალებით, რომელიც ზედაპირის რელიეფის შესატყვისია, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს ყველა შესაძლო მიმართულებიდან და შორი მანძილიდან, განსაკუთრებით კი ჰაერიდან.

2. ღამით ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში განმასხვავებელი ემბლემა შეიძლება განათდეს ან ანათებდეს.

3. განმასხვავებელი ემბლემა, თუ შესაძლებელია, ისეთი მასალისგან უნდა დამზადდეს, რომელიც ამოცნობის ტექნიკური საშუალებებით მისი ამოცნობის საშუალებას იძლევა. ემბლემის წითელი ნაწილი დატანებული უნდა იყოს შავი საღებავით შეფერილ ზედაპირზე, რათა გააღვილდეს მისი ამოცნობა, განსაკუთრებით ინფრაწითელი ხელსაწყოების მეშვეობით.

4. სამედიცინო და სასულიერო პერსონალი, რომელიც თავის მოვალეობებს საბრძოლო მოქმედებების რაიონში ახორციელებს, შეძლებისდაგვარად განმასხვავებელ ემბლემიან თავსაბურავს და ტანსაცმელს უნდა ატარებდეს.

თავი III განმასხვავებელი სიბნალები

მუხლი 6 – გამოყენება

1. სამედიცინო შენაერთებს ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ წინამდებარე თავით გათვალისწინებული ყველა

2 1980 წლიდან მოყოლებული, ლომისა და მზის ემბლემა არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუყენებია.

განმასხვავებელი სიგნალი გამოიყენონ.

2. ეს სიგნალები, რომელთა გამოყენება მხოლოდ სამედიცინო შენაერთებსა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ, არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა მიზნებისთვის, შექოვანი სიგნალის გამოყენების გამოკლებით (იხ. მე-3 პარაგრაფი).

3. თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის არ არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ცისფერი მოციმციმე შექების გამოყენებას მხოლოდ სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების, გემებისა და საჰაერო ხომალდებისთვის, ამგვარი სიგნალის გამოყენება არ ეკრძალებათ სხვა სატრანსპორტო საშუალებებს, გემებსა და საჰაერო ხომალდებს.

4. დროებით სანიტარულ საჰაერო ხომალდებს, რომლებსაც დროის უკმარისობის ან მათი ტექნიკური მონაცემების გამო არა აქვთ განმასხვავებელი ემბლემა, შეუძლიათ წინამდებარე თავში ნებადართული განმასხვავებელი სიგნალები გამოიყენონ.

მუხლი 7 – შექოვანი სიგნალი

1. ცისფერი მოციმციმე შექისგან შემდგარი სიგნალი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) ტექნიკურ სახელმძღვანელოში, (დოკუმენტი №9051), გამიზნულია სამოქალაქო სანიტარული საჰაერო ხომალდის გამოყენებისათვის, მისი კუთვნილების მისანიშნებლად. არც ერთი სხვა საჰაერო ხომალდი ამ სიგნალს არ გამოიყენებს. საჰაერო ხომალდმა, რომელიც ცისფერ მოციმციმე შექს იყენებს, ნათურები იმგვარად უნდა განალაგოს, რომ შექოვანი სიგნალი ყველა შესაძლო მიმართულებიდან იყოს ხილვადი.

2. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სიგნალების საერთაშორისო კოდექსის XIV თავის მე-4 პარაგრაფის დებულებათა თანახმად, ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის დაცვით მოსარგებლე ხომალდებს უნდა ჰქონდეთ ერთი ან მეტი ცისფერი მოციმციმე შექი, რომელიც ყველა შესაძლო მიმართულებიდან უნდა იყოს ხილვადი.

3. სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ ერთი ან მეტი ცისფერი მოციმციმე შექი, რომელიც რაც შეიძლება შორი დისტანციიდან უნდა იყოს ხილვადი. მაღალმა ხელშემკერემა მხარეებმა, კერძოდ კი კონფლიქტის მხარეებმა, რომლებიც სხვა ფერის შექებს იყენებენ, ამის შესახებ შეტყობინება უნდა გააკეთონ.

4. რეკომენდებული ცისფერი შექი მიიღება, როდესაც მისი ქრომატულობა განათების საერთაშორისო კომისიის (ICI) ქრომატულობის დიაგრამის ფარგლებშია და შემდეგი კოორდინატებით განისაზღვრება:

$$\text{მწვანე} \quad y = 0.065 + 0.805 x$$

$$\text{თეთრი} \quad y = 0.400 - x$$

$$\text{იისფერი} \quad x = 0.133 + 0.600 y$$

ცისფერი შექისთვის ციმციმის რეკომენდებული სიხშირეა 60-100 დაციმციმება წუთში.

მუხლი 8 – რადიოსიგნალი

1. რადიოსიგნალი შედგება საგანგებო და განმასხვავებელი სიგნალებისგან, როგორც ეს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) რადიოკავშირის წესებშია აღწერილი (RR-ის მე-40 და № 40 მუხლები).

2. რადიოშეტყობინება, რომელსაც წინ უძღვის პირველ პარაგრაფში მითითებული საგანგებო და განმასხვავებელი სიგნალები, უნდა გადაიცემოდეს ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ინტერვალებით და იმ სიხშირეებზე, რომელიც განსაზღვრულია რადიოკავშირის წესებში, და შეიცავდეს სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებულ შემდეგ მონაცემებს:

- (ა) გამოძახების სიგნალს ან ამოცნობის სხვა აღიარებულ საშუალებას;
- (ბ) ადგილმდებარეობას;
- (გ) სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობასა და სახეობას;
- (დ) სავარაუდო მარშრუტს;
- (ე) მგზავრობის საანგარიშო დროს და გამგზავრებისა და დაბრუნების დროს, შესაბამის გარემოებათა გათვალისწინებით;
- (ვ) ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, როგორიცაა ფრენის სიმაღლე, მეურვეობის ქვეშ მყოფი რადიოსიხშირეები, კავშირის ენა და მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის სისტემის მუშაობის რეჟიმი და კოდები.

3. იმისთვის, რათა ხელი შეეწყოს პირველ და მეორე პარაგრაფებში, ისევე როგორც წინამდებარე ოქმის 22-ე, 23-ე და 25-31-ე მუხლებში მითითებული კავშირის გაადვილებას, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, კონფლიქტის მხარეებს ან კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს, რომელიც მხოლოდ მისი ინიციატივით ან შეთანხმებით მოქმედებს, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კონვენციაზე დართული რადიოკავშირის წესებში მოცემულ სიხშირეთა განაწილების ტაბულაზე დაყრდნობით, შეუძლია განსაზღვროს და გამოაქვეყნოს მის მიერ შერჩეული ეროვნული სიხშირეები, რომლებითაც ის ამგვარი კავშირის დამყარებისას ისარგებლებს. ამ სიხშირეთა შესახებ უნდა ეცნობოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირს, რადიოკავშირის მსოფლიო ადმინისტრაციული კონფერენციის მიერ დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 9 – ელექტრონული ამოცნობა

1. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენციის მე-10 დანართში (ცვლილებებითა და დამატებებით) მითითებული მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის სისტემა (SSR) შეიძლება გამოყენებული იყოს სანიტარიული საჰაერო ხომალდის მარშრუტის დასადგენად და მიყოლისათვის. SSR-ის სპეციალური მუშაობის რეჟიმი და კოდი სანიტარიული საჰაერო ხომალდისათვის დადგინდება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების, კონფლიქტის მხარეების ან მხარის მიერ, რომელიც შეთანხმებით ან მხოლოდ თავისი ინიციატივით მოქმედებს, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პროცედურების შესაბამისად.

2. დაცვის ქვეშ მყოფ სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალებებს, მათი ამოცნობისა და ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით, შეუძლიათ გამოიყენონ სტანდარტული საავიაციო სარადარო სისტემები და/ან საზღვაო ძიებისა და სამაშველო სარადარო სისტემები.

შესაძლებელი უნდა იყოს დაცვის ქვეშ მყოფი სამედიცინო სატრანსპორტო საშუალების ამოცნობა სხვა სატრანსპორტო საშუალებებისა და საჰაერო ხომალდების მიერ, რომლებიც აღჭურვილია მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის სისტემით, რადიოლოკაციური გადამცემის მიერ გაცემული კოდის საშუალებით, მაგალითად, 3/A რეჟიმში, რომელიც სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალებებისთვისაა გამიზნული.

სანიტარიული-სატრანსპორტო საშუალების მიერ გადასაცემი კოდი კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს მიერ მიკუთვნებული უნდა იყოს ამ სატრანსპორტო საშუალებას და მის შესახებ კონფლიქტის ყველა მხარეს უნდა ეცნობოს.

3. შესაძლებელი უნდა იყოს სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალებათა ამოცნობა წყალქვეშა მცურავი საშუალებების მიერ, სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალების მიერ გადაცემული შესაბამისი წყალქვეშა აკუსტიკური სიგნალის მეშვეობით.

წყალქვეშა აკუსტიკური სიგნალი შედგება გამოძახების სიგნალისგან, რომელსაც წინ უძღვის შესაბამის აკუსტიკურ სიხშირეზე (მაგ., 5კ ზ) მორზეს სისტემით გადაცემული ერთიანი ჯგუფი YYY.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, რომელთაც სურთ ზემოაღნიშნული წყალქვეშა აკუსტიკური ამოსაცნობი სიგნალი გამოიყენონ, ამის შესახებ რაც შეიძლება მალე უნდა აცნობონ ამ სიგნალის გამოყენებით დაინტერესებულ მხარეებს და, პოსპიტალური გემების გამოყენების შესახებ შეტყობინების გაკეთებისას, დაადგინონ სამუშაო სიხშირე.

4. კონფლიქტის მხარეებს, სპეციალური შეთანხმებით შეუძლიათ დააწესონ სანიტარიული სატრანსპორტო საშუალებების, წყლისა და საჰაერო ხომალდების ამოცნობის მსგავსი სისტემები.

თავი IV კომუნიკაცია

მუხლი 10 – რადიოკავშირი

1. წინამდებარე ოქმის 22-ე, 23-ე და 25-31-ე მუხლებში აღწერილი პროცედურების შესრულებისას, ამ წესების მე-8 მუხლში მითითებული საგანგებო და განმასხვავებელი სიგნალი წინ უძღვის სამედიცინო ფორმირებებისა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების მიერ რადიოკავშირის დამყარებას.

2. ITU-ს რადიოკავშირის წესების მე-40 (ნაწილი II, № 3209) და №40 (ნაწილი III, № 3214) მუხლებში ნახსენებ სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ კავშირი აწარმოონ თანამგზავრი სისტემების მეშვეობით, 37-ე, № 37 და 59 მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 11 – საერთაშორისო კოდების გამოყენება

სანიტარულ შენაერთებსა და სატრანსპორტო საშუალებებს აგრეთვე შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დადგენილი კოდები და სიგნალები. ეს კოდები და სიგნალები ამ ორგანიზაციათა მიერ დადგენილი სტანდარტების, პრაქტიკისა და პროცედურების შესაბამისად გამოიყენება.

მუხლი 12 – სხვა საკომუნიკაციო საშუალებები

როდესაც შეუძლებელია ორმხრივი რადიოკავშირის დამყარება, შეიძლება გამოყენებული იყოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მიღებულ სიგნალების საერთაშორისო კოდექსსა ან საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენციის შესაბამის დანართში (ცვლილებებითა და დამატებებით) მოცემული სიგნალები.

მუხლი 13 – ფრენის გეგმა

წინამდებარე ოქმის 29-ე მუხლში გათვალისწინებული, ფრენის გეგმასთან დაკავშირებული შეთანხმებები და შეტყობინებები, შეძლებისდაგვარად, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს.

მუხლი 14 – სანიტარული საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული სიგნალები და პროცედურები

თუ დამკვირვებელი საჰაერო ხომალდი გამოიყენება სანიტარული საჰაერო ხომალდის ამოსაცნობად ფრენის განმავლობაში ან ამ უკანასკნელის წინამდებარე ოქმის 30-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად მიწაზე დაშვების მოთხოვნისათვის, დამკავებელმა და სანიტარულმა საჰაერო ხომალდმა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენციის მე-2 დანართში გათვალისწინებული ვიზუალური და რადიოდაკავების სტანდარტული პროცედურები უნდა გამოიყენოს.

თავი V

სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 15 – პირადობის მოწმობა

1. წინამდებარე ოქმის 66-ე მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის ფორმირებათა პერსონალის პირადობის მოწმობის მიმართ წინამდებარე წესების მე-2 მუხლის შესაბამისი დებულებები გამოიყენება.

2. სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის პირადობის მოწმობა შეიძლება მე-3 ნახატზე მოყვანილ ნიმუშს შეესაბამებოდეს.



(მოცემული მოწმობის გამცემი სახელმწიფო და ხელისუფლების სახელწოდებისათვის დატოვებული ადგილი)

დროშაბითი/რუბრივი სამოქალაქო სამედიცინო/სახელმწიფო პერსონალის

პირადობის მოწმობა

გვარი _____

დაბადების თარიღი (ან ასაკი) _____

პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) _____

ამ მოწმობის მფლობელი იმყოფება შენთვის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებისა და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ შენთვის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების I დამატებითი ოქმის დაცვის ქვეშ, როგორც _____

გაცემის თარიღი _____

ნომერი _____

მოწმობის გამცემი ხელისუფლების ორგანოს ხელმოწერა _____

ძალაშია _____

სიმაღლე _____	თვალის ფერი _____	თმის ფერი _____
სხვა განმასხვავებელი ნიშნები ან მონაცემები: _____ _____ _____ იარაღი _____		
ფეხსაცმლის ფერი _____		
ბეჭედი		
მფლობელის ხელმოწერა, ცერა თითის ანაბეჭდი, ან ორივე ერთად		

ნახატი 3: სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის პირადობის მოწმობის ნიმუში (ფორმატი: 74მმX105მმ)

3. თუ სამოქალაქო თავდაცვის პერსონალს ნებადართული აქვს მსუბუქი პირადი იარაღის ტარება, პირადობის მოწმობაში ამის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდება.

მუხლი 16 – საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი

1. წინამდებარე ოქმის 66-ე მუხლის მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი არის ნარინჯისფერ ფონზე მოცემული ლურჯი ტოლფერდა სამკუთხედი. ნიმუში მოყვანილია მე-4 ნახატზე:



ნახატი 4: ლურჯი სამკუთხედი ნარინჯისფერ ფონზე

2. რეკომენდებულია, რომ:

- (ა) თუ ლურჯი სამკუთხედი გამოსახულია დროშაზე, სამკლაურსა ან მოსასხამზე, მაშინ დროშა, სამკლაური ან მოსასხამი იყოს ნარინჯისფერი;
- (ბ) სამკუთხედის ერთ-ერთი კუთხე მიმართული იყოს ვერტიკალურად ზევით;
- (გ) სამკუთხედის არც ერთი კუთხე არ ეხებოდეს ნარინჯისფერი ფონის კიდეს.

3. საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი სიდიდით იმხელა უნდა იყოს, როგორსაც გარემოებები მოითხოვს. შესაძლებლობის შემთხვევაში ის დატანილი უნდა იყოს ბრტყელ ზედაპირზე და ყველა შესაძლო მიმართულებიდან და რაც შეიძლება დიდი მანძილიდან გასარჩევ დროშებზე. კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს ინსტრუქციების შესაბამისად, სამოქალაქო თავდაცვის პერსონალი, რამდენადაც შესაძლებელია, ატარებს თავსაბურავსა და ტანსაცმელს, რომელზედაც გამოსახულია საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი. დამით ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში ნიშანი შეიძლება ნათდებოდეს ან ანათებდეს; ის ასევე შეიძლება ისეთი მასალისგან დამზადდეს, რომელიც ამოცნობის ტექნიკური საშუალებებით მისი ამოცნობის საშუალებას იძლევა.


მუხლი 17 – საერთაშორისო სპეციალური ნიშანი

1. საერთაშორისო სპეციალური ნიშანი სახიფათო ძალების შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების შესახებ, როგორც ეს წინამდებარე ოქმის 56-ე მუხლის მე-7 პარაგრაფით არის გათვალისწინებული, წარმოადგენს ერთ ღერძზე განლაგებულ, თანაბარი ზომის ღია ნარინჯისფერ სამი წრის ჯგუფს. ამასთან, მანძილი წრეებს შორის თითო წრის ერთ რადიუსს შეადგენს, ქვემოთ მოყვანილი მე-5 ნახატის შესაბამისად.

2. ნიშანი, ვითარებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს. დიდი ფართობის მქონე ზედაპირზე დატანისას, ის იმდენჯერ უნდა განმეორდეს, რამდენადაც ამას ვითარება მოითხოვს. როცა ეს შესაძლებელია, ნიშანი გამოისახება ბრტყელ ზედაპირზე ან დროშებზე ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი გარჩევა ყველა შესაძლო მიმართულებიდან და რაც შეიძლება შორი მანძილიდან.

3. დროშაზე გამოსახვისას, მანძილი ნიშნის გარე საზღვრებსა და დროშის მომიჯნავე მხარეებს შორის წრის ერთი რადიუსის ტოლი უნდა იყოს. დროშა მართკუთხა უნდა იყოს და თეთრი ფონი ჰქონდეს.

4. ღამით ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში ნიშანი შეიძლება ნათდებოდეს ან ანათებდეს; ის ასევე შეიძლება ისეთი მასალისგან დამზადდეს, რომელიც ამოცნობის ტექნიკური საშუალებებით მისი ამოცნობის საშუალებას იძლევა.



ნახატი 5: სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების აღმნიშვნელი საერთაშორისო სპეციალური ნიშანი

დანართი II
სახიფათო მივლინებებში მყოფი ჟურნალისტების
პირადობის მოწმობა

NOTICE This identity card is issued to journalists on dangerous professional missions in areas of armed conflict. The holder must be treated as a civilian under the Geneva Convention of 12 August 1949 and should not be detained. If he is detained, he shall at once hand it to the Detaining Authorities, to assist in his identification. ملحوظة تصرف هذه البطاقة للمدنيين الكافين بمهنة خطيرة في مناطق النزاعات المسلحة ويجب لحامها أن يحمل حاملها المعاملة التي وفقا لاتفاقيات جنيف المؤرخة ١٢ / أغسطس ١٩٤٩. وإذا احتجز حامل البطاقة بها فورا وإلا اعتبر يجب أن يسلمها فوراً إلى سلطة الاحتجاز لمساعد على تحديد هويته.	(Name of country issuing this card) (اسم القطر الصادر بهذه البطاقة) (Nombre del país que expide esta tarjeta) (Nom du pays qui a délivré cette carte) (Название страны, выдавшей удостоверение) (Удостоверение)
NOTA La presente tarjeta de identidad se expide a los periodistas en misión profesional peligrosa en zonas de conflictos armados. Su titular tiene derecho a ser tratado como persona civil conforme a los Convenios de Ginebra del 12 de agosto de 1949 y su Protocolo adicional I. El titular debe llevar la tarjeta consigo, en todo momento. En caso de ser detenido, la entregará inmediatamente a las autoridades que lo detengan a fin de facilitar su identificación.	IDENTITY CARD FOR JOURNALISTS ON DANGEROUS PROFESSIONAL MISSIONS بطاقة الهوية الخاصة بالصحفيين الكافين بمهنة خطيرة
AVIS La présente carte d'identité est délivrée aux journalistes en mission professionnelle périlleuse dans des zones de conflit armé. Le porteur a le droit d'être traité comme une personne civile aux termes des Conventions de Genève du 12 août 1949 et de son Protocole additionnel I. Le porteur doit toujours se munir de la carte. En cas d'arrestation, il la remettra immédiatement aux autorités qui le retiennent afin qu'elles puissent l'identifier.	TARJETA DE IDENTIDAD DE PERIODISTA EN MISION PELIGROSA CARTE D'IDENTITÉ DE JOURNALISTE EN MISSION PÉRILLEUSE
ПРИМЕЧАНИЕ Настоящее удостоверение выдается журналистам, находящимся в опасных профессиональных командировках в районах вооруженного конфликта. Его обладатель имеет право на обращение с ним как с гражданским лицом в соответствии с Женевскими Конвенциями от 12 августа 1949 г. и Дополнительным Протоколом I к ним. Владелец настоящего удостоверения должен постоянно иметь его при себе. В случае задержания он немедленно вручает его задерживающим властям для содействия установлению его личности.	УДОСТОВЕРЕНИЕ ЖУРНАЛИСТА, НАХОДЯЩЕГОСЯ В ОПАСНОЙ КОМАНДИРОВКЕ

